ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

Save the Children

# ახალგაზრდული საქმიანობის კარგი პრაქტიკის მაგალითების კომპენდიუმი

საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

ახალგაზრდობის სააგენტო

KONRAD ADENAUER STIFTUNG

# ახალგაზრდული საქმიანობის კარგი პრაქტიკის მაგალითების კომპენდიუმი

*სახელმძღვანელო ახალგაზრდული საქმიანობით დაინტერესებული ადამიანებისთვის*


სახელმძღვანელო შექმნილია
**საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ**

სახელმძღვანელოს ავტორები:
ანა მოსიაშვილი, ქეთევან ჟვანია-ტაისონი

საბოლოო რედაქცია:
გუბაზ კობერიძე



საქართველოს
ახალგაზრდულ
მუშაკთა ასოციაცია

2022

სახელმძღვანელო შექმნილია „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის“ მიერ პროექტის „უნარები წარმატებისთვის“ ფარგლებში.
პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით Save the Children-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან: „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია“, „კონრად ადენაუერის ფონდი“ და „ახალგაზრდობის სააგენტო“. პროექტი მიზნად ისახავს NEET ახალგაზრდების (ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმების, განათლების ან ტრენინგის სერვისში ჩართულები) დასაქმების ხელშეწყობას მობილური ახალაგზრდული საქმიანობის განვითარებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს პრაქტიკოს ახალგაზრდულ მუშაკებს. ასოციაცია მიზნად ისახავს ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდულ მუშაკთა განვითარებისა და აღიარების ხელშეწყობას საქართველოში.

ამ პუბლიკაციის მასალის გამრავლება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული, საგანმანათლებლო მიზნებით და წყაროს სათანადოდ მითითებით.

პუბლიკაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორესპონდენცია უნდა გაეგზავნოს „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციას“:

საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

https://youthworkers.ge
info@youthworkers.ge

ახალგაზრდული საქმიანობის კარგი პრაქტიკის მაგალითების კომპენდიუმი
© საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

სახელმძღვანელოს ავტორები: ანა მოსიაშვილი, ქეთევან ჟვანია-ტაისონი
გრამატიკული რედაქტირება: მარიამ ბერძული
საბოლოო რედაქცია: გუბაზ კობერიძე
სახელმძღვანელოს დიზაინი: ანანო რაზმაძე

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of The Youth Workers' Association of Georgia and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# სარჩევი


6 შესავალი

8 რა არის კარგი პრაქტიკა

8 კარგი პრაქტიკის მაგალითების გამოყენების მნიშვნელობა

11 რა უნდა გავითვალისწინოთ კარგი პრაქტიკის მაგალითის საქართველოს რეალობაში განხორციელების დროს

13 სად მოვიძიოთ ინფორმაცია ახალგაზრდულ საქმიანობაში კარგი პრაქტიკის მაგალითების შესახებ?

16 პრაქტიკა

16 ავსტრია - AHA PLUS, ახალგაზრდული მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარების სისტემა

20 ავსტრია - MOBILISIERBAR, მობილაიზერი ბარი

22 აშშ - ნარკოტიკების სახლი ოდისეა

26 ახალი ზელანდია - საგანმანათლებლო პრეზენტაციები უფროსკლასელებისათვის

30 ბელგია - STREET SMART

33 ბელგია - ჰიპ-ჰოპ სუბკულტურა ახალგაზრდულ საქმიანობაში

36 დანია - ჯიბის ფილმები

38 დიდი ბრიტანეთი - GREEN LEADERS, მწვანე ლიდერები

42 ესტონეთი - ახალგაზრდული საქმინობა ციხეში

44 ესპანეთი - VIDA DIGITAL PROJECT, ციფრული ცხოვრების პროექტი

47 იაპონია - ვირტუალური ბანაკი

50 ირლანდია - ვიდეო თამაშები ახალგაზრდულ საქმიანობაში

53 ისრაელი - KREMBO WINGS, კრემბოს ფრთები

57 იტალია - CAMINERAS, მოგზაურობა შენკენ

59 ლიეტუვა - I AM 20-SOMETHING, ოც-და-რაღაც წლის ვარ

61 მალტა - ახალგაზრდული სოფელი

64 პოლონეთი - EUROSZANSE, ევროპული შესაძლებლობები

66 პორტუგალია - VILA DA MARMELEIRA - არაფორმალური განათლების ცენტრი

68 საფრანგეთი - TRAMPOLINE PROJECT, საზღვრისპირა თანამშრომლობა ახალგაზრდულ სფეროში

71 სლოვენია - WHAT MAKES ME HAPPY, რა მამხიარულებს

73 ფინეთი - მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა სოფლებში

76 შვედეთი - UNGA IN, ახალგაზრდების ინტეგრაციისათვის

79 შოტლანდია - DIGI,AYE?

81 ჩეხეთი - რომა ახალგაზრდული აქტივიზმი

83 მსოფლიო - FREE BEING ME, თავისუფალი მე

89 ტერმინთა განმარტება

# შესავალი

## რა არის კარგი პრაქტიკა?

კარგი პრაქტიკის უნივერსალური განმარტება არ არსებობს. თუმცა კარგი პრაქტიკის მაგალითების გამოყენება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება არა მარტო ახალგაზრდულ საქმიანობაში, არამედ ადამიანისა და საზოგადოების განვითარების ნებისმიერ სფეროში. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, კარგი (ან საუკეთესო) პრაქტიკა განიმარტება, როგორც

*„პროცედურა, რომელიც შესაბამის კვლევაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, დადგენილი ან შემოთავაზებულია, როგორც სტანდარტი ოპტიმალური შედეგების მისაღწევად."*[1]

კარგი პრაქტიკა შესაძლებელია ასევე განიმარტოს, როგორც

*სამუშაო მეთოდი ან მეთოდების ერთობლიობა, რომელიც აღიარებულია საუკეთესოდ რომელიმე კონკრეტულ სფეროში.*[2]

ამასთანავე, კარგ პრაქტიკად მიიჩნევა პრაქტიკა, რომელიც დადასტურებელია, რომ კარგად მუშაობს და უზრუნველყოფს სასურველი შედეგის (ან შედეგების) მიღწევას, შესაბამისად, რეკომენდებულია როგორც მოდელი. ეს არის წარმატებული გამოცდილება, რომელიც შესწავლილი და აღიარებულია, რომ იმსახურებს ფართოდ გავრცელებასა და გაზიარებას, რათა უფრო მეტმა ადამიანმა შეძლოს პრაქტიკის ათვისება და გამეორება.[3]

იმისათვის, რომ პრაქტიკა შეფასდეს როგორც კარგი (ან საუკეთესო), ასევე არ არსებობს საყოველთაო და უნიფიცირებული კრიტერიუმი. სხვადასხვა სფეროს მიხედვით იცვლება შეფასების სტანდარტებიც. ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობა თავისთავად კარგი პრაქტიკის დამკვიდრების მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში. შესაბამისად, კარგი პრაქტიკის ძიებისა და შეფასების პროცესში, მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის შეფასების სახელმძღვანელო კრიტერიუმების გათვალისწინება.[4] გარდა იმისა, რომ ახალგაზრდული საქმიანობის კარგი პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდული საქმიანობის ძირითად პრინციპებს,[5] პრაქტიკის ეფექტიანობის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა:

### დადებითი ცვლილების მიღწევა

დადებითი ცვლილება შესაძლებელია განიმარტოს, როგორც არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება, პროგრესი. ახალგაზრდული საქმიანობის ნებისმიერი ფორმა, როგორც წესი, მიმართულია დადებითი ცვლილებების მიღწევისაკენ. ცვლილებების მიღწევა და შეფასება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა დრო, კონტექსტი, რესურსები, შეფასების მეთოდი და შემფასებელი და სხვ. დადებითი ცვლილების მიღწევის შეფასების სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რომელთა შორის, მაგალითად, "მიზნების მიხედვით შეფასება" ერთ-ერთი

1 'კარგი პრაქტიკის განმარტება/Definition of the best practice' <https://www.merriam-webster.com/dictionary/best+practice>

2 ქემბრიჯის ლექსიკონი 'BEST PRACTICE | Meaning in the Cambridge English Dictionary' <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/best-practice>

3 FAO, 'Good Practices Template/კარგი პრაქტიკის ნიმუში', 2016 ხელმისაწვდომია: <http://www.fao.org/3/as547e/as547e.pdf>

4 ევროპის საბჭო, 'ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის პორტფოლიო/The Council of Europe Youth Work Portfolio' <https://rm.coe.int/council-of-europe-youth-work-portfolio/16809eaa04>

5 ევროპის საბჭო 'ახალგაზრდული საქმიანობის არსებითი მახასიათებლები/Youth Work Essentials' <https://www.coe.int/en/web/youth-portfolio/youth-work-essentials>

ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ცნობილი მეთოდია.[6] შესაბამისად, კარგი პრაქტიკის შერჩევის პროცესში, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რა დადებითი ცვლილებების მიღწევა გახდა შესაძლებელი ამ კონკრეტული პრაქტიკის გამოყენებით.

### მდგრადობა

მდგრადობა ნიშნავს პოტენციალს, უნარს, რომ კარგი პრაქტიკა იყოს შენარჩუნებული გარკვეული დროის მანძილზე და აკმაყოფილებდეს მდგრადი განვითარების სამ ძირითად კრიტერიუმს: ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსადმი დამზოგავი.[7]

### კრეატიულობა და ინოვაციურობა

კრეატიულობა ნიშნავს წარმოსახვისა და შთაგონების უნარს, რაც მიმართულია სიახლის ძიებისკენ, ახალი და ეფექტიანი გადაწყვეტის გზების პოვნისკენ, ხოლო ინოვაციურობა მიემართება ახალი და კრეატიული იდეების განხორციელების კონკრეტულ მეთოდებს.[8] კრეატიულობა და ინოვაციურობა, თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ფაქტორებია არა მარტო ახალგაზრდულ საქმიანობაში, არამედ განათლებისა და განვითარების ნებისმიერ სფეროში.

### ინკლუზიურობა

ინკლუზიურობის მახასიათებლის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, რამდენად ითვალისწინებს კონკრეტული პრაქტიკა სხვადასხვა სპეციალურ საჭიროებას. მხარდაჭერის რა მექანიზმებია შემუშავებული იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან, თავი არ იგრძნონ მარგინალიზებულად, მინიმუმამდე შემცირდეს ის ბარიერები, რომლებიც ახალგაზრდებს უშლის ხელს საკუთარი თავის სრულფასოვნად რეალიზებაში.

### რესურსების ოპტიმალური ათვისება

ნებსმიერი პრაქტიკის განსახორციელებლად აუცილებელია კონკრეტული რესურსები, მათ შორის ადამიანური და მატერიალური რესურსი. თუმცა მნიშვნელოვანია რესურსები ოპტიმალურად იყოს ათვისებული და ემსახურებოდეს დასახული მიზნების მიღწევას

### სხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები

პრაქტიკის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შესაძლოა რელევანტური იყოს სხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ზემოთ აღწერილ კატეგორიებს მიღმაა.

6 Foroige, UNESCO Child & Family Research Centre, 'How are we doing? An Evaluation Resource for Foroige Staff' (2011) ხელმისწავდომია: <https://www.foroige.ie/sites/default/files/evaluation_resource.pdf>

7 CENN, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა "განათლება მდგრადი განვითარებისათვის - ეკოკლუბის გზამკვლევი" (2021) ხელმისაწვდომია: <http://forestry.ge/public/uploads/other/2021-02-11/68614.pdf>

8 Future Labs E-Handbook 'Developing Youth Work Innovation' (2020) ხელმისაწვდომია <https://www.humak.fi/wp-content/uploads/2019/10/developing-youth-work-innovation-e-handbook-futurelabs.pdf>

# კარგი პრაქტიკის მაგალითების გამოყენების მნიშვნელობა

კარგი პრაქტიკის მაგალითების გამოყენების მნიშვნელობა მკაფიოდ ხაზგასმულია ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის მე-3 კონვენციის საბოლოო დეკლარაციაში.[9] დეკლარაციის ნაწილში, რომელიც ეხება ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის დღის წესრიგის განხორციელებას, ე.წ. ბონის პროცესის საშუალებით, აღნიშნულია, რომ

*„[...] ყოველთვის უნდა ვესწრაფოდეთ უკვე არსებული კარგი სტრუქტურებისა და პრაქტიკის შენარჩუნებას, საჭიროებისას, ვცდილობდეთ მათ განვითარებას...“*[10]

გარდა ამისა, ერთიანი მიმართულების ნაწილში, დეკლარაცია ასევე აღნიშნავს, რომ

*„ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკისა და პოლიტიკის შემუშავების წინაპირობას წარმოადგენს მასში ახალგაზრდული საქმიანობის თემის მრავალფეროვანი მონაწილეების აქტიურად ჩართვა. ამისათვის საჭიროა ისეთი* ***სივრცეების უზრუნველყოფა,*** *სადაც შესაძლებელი იქნება, როგორც ადგილობრივ, ისე ევროპულ დონეზე არსებული* **სხვადასხვა სტილის პრაქტიკის, ქსელისა თუ პლატფორმის საუკეთესო მაგალითების წარმოჩენა, გაზიარება და შემდგომი განვითარება.“**[11]

ამასთანავე,

*„იმისათვის რომ ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობა მეტად განვითარდეს, საჭიროა* **ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე სწავლა-სწავლების, გაზიარების, მხარდაჭერისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისადმი კოორდინირებული მიდგომა.“**[12]

დეკლარაციის ეს ჩანაწერები ცხადად მიუთითებენ ზოგადად ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრისა და განვითარების პროცესში საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოყენების მნიშვნელობაზე. თუმცა, გარდა იმისა, რომ კარგი პრაქტიკის მაგალითები საინტერესოა ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარებისათვის, კარგი მაგალითების გაზიარება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მუშაკებისათვის.

კარგი პრაქტიკის მაგალითები ახალგაზრდული მუშაკებისათვის და ახალგაზრდულ სფეროში ჩართული პირებისათვის შესაძლოა იყოს **შთაგონებისა და მოტივაციის წყარო.** ამასთანავე კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარება ხელს უწყობს **გამოცდილებაზე და მტკიცებულებაზე დამყარებულ სწავლასა და გაზიარებას** ახალგაზრდულ საქმიანობაში; **კრეატიული და ინოვაციური მიდგომების** ჩამოყალიბებასა და გავრცელებას; კარგი მაგალითების **პოპულარიზაციასა და გამრავლებას;**

შესაბამისად, კარგი პრაქტიკის მაგალითების ძიება ახალგაზრდული მუშაკისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ერთი წარმატებული პრაქტიკის მაგალითი ყველა სიტუაციას და გარემოს ვერ მოერგება, ამრიგად **კონტექსტი უმნიშვნელოვანესია!** კარგი გამოცდილების ავტომატურად გადმოტანა არ იძლევა წარმატების გარანტიას, ამიტომ აუცილებელია სიტუაციის კრიტიკული ანალიზი, როგორც საქმიანობის განხორციელების წინაპირობა. კარგი პრაქტიკის მაგალითის სახელმძღვა-

9 ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის მე-3 კონვენცია საბოლოო დეკლარაცია (ბონი, 2020) თარგმანი სსიპ ‘ახალგაზრდობის სააგნეტო’, <https://www.eywc2020.eu/>

10 იქვე;

11 იქვე;

12 იქვე;

ნელოდ გამოყენების დროს ახალგაზრდულმა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- რამდენად განსხვავდება კარგი პრაქტიკის მაგალითის განხორციელების კონტექსტი არსებული რეალობის კონტექსტიდან? მათ შორის გასათვალისწინებელია სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, ასე შემდეგ ფაქტორები;
- რა არის მაგალითის გამოყენების მიზანი? რამდენად უკავშირდება ეს მიზანი ახალგაზრდების ინტერესებს და საჭიროებებს არსებულ რეალობაში?
- რა რესურსებია ხელმისაწვდომი ახალგაზრდული მუშაკისათვის? მათ შორის ბიუჯეტისა და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ჩათვლით;
- რა გამოწვევები შეიძლება გამოიკვეთოს კარგი პრაქტიკის მაგალითის განხორციელების პროცესში?
- რა მექანიზმები და რესურსები არსებობს ახალგაზრდული მუშაკის ხელთ გამოწვევების საპასუხოდ?

შესაბამისად, სიტუაციის კრიტიკული ანალიზი კარგი პრაქტიკის მაგალითის გამოყენებამდე ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მაგალითისთვის, ავტომატურმა, „ბრმა“ გამოყენებამ, შესაძლოა არა მარტო ხელი შეუშალოს სასურველი შედეგების მიღწევას, არამედ ნეგატიურად იმოქმედოს ზოგადად საქმიანობის განხორციელებაზეც.

ირლანდიური ახალგაზრდული ორგანიზაცია „Foroige/ფოროუგე", რომელიც არსებობს 1952 წლიდან, გვთავაზობს კარგი პრაქტიკის გამოყენების მოდელს, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე საფეხურით.

კვლევისა და განვითარების პირველი საფეხური მოიცავს:[13]

- კონსულტაციის ეტაპს ყველა დაინტერესებულ მხარესთან;
- მიზნისა და შესაძლო შედეგების განსაზღვრას კონსულტაციის შედეგებზე დაყრდნობით;
- შესაბამისი პროგრამის შემუშავებას;

მეორე საფეხური უკავშირდება საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებისათვის მომზადებას, რაც მოიცავს:

- პილოტირების ეტაპს;
- უკუკავშირის მიღებას;
- უკუკავშირის განხილვასა და შესაბამისი ცვლილებების შეტანას დაგეგმილ საქმიანობაში, თუ საჭიროა;
- საჭირო რესურსების უზრუნველყოფას;

მესამე საფეხური უკავშირდება უშუალოდ განხორციელებას, რაც მოიცავს:

- ფასილიტატორების/ახალგაზრდული მუშაკების მომზადებას;
- პროგრამის/აქტივობის განხორციელებას ახალგაზრდებთან;
- შეფასებას;

13 Foroige 'საუკეთესო პრაქტიკა/Best Practice', 2013 <https://www.foroige.ie/about/best-practice>

კარგი პრაქტიკის მაგალითის გამოყენების ეს მოდელი არ არის უნივერსალური, როგორც აღინიშნა, კონტექსტი მნიშვნელოვანია, შესაბამისად, პრაქტიკის გამოყენების მოდელიც შესაძლოა შეიცვალოს ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია წარმოადგინოს ახალგაზრდული საქმიანობის კარგი პრაქტიკის მაგალითები სხვადასხვა ქვეყნიდან. კარგი პრაქტიკის მაგალითების შესახებ ინფორმაციის მიღება ხელს შეუწყობს საქართველოში ახალგაზრდული მუშაკების მიერ გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებას, გარდა ამისა, წარმოდგენილი მაგალითები შესაძლოა გახდეს შთაგონებისა და მოტივაციის წყარო ახალგაზრდული მუშაკებისათვის.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ახალგაზრდული საქმიანობის კარგი პრაქტიკის თითოეული მაგალითი მოიცავს ინფორმაციას პრაქტიკის განხორციელების ადგილის, თარიღისა და ახალგაზრდული საქმიანობის ფორმის შესახებ. კარგი პრაქტიკის მაგალითის დეტალურ აღწერასთან ერთად, ხელმისწავდომი იქნება ძირითადი და დამატებითი წყაროები, ასევე საძიებო სიტყვები, ფოტო და ვიდეო მასალა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობა ესწრაფვის ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების პროცესებთან ჰარმონიზაციას, კარგი პრაქტიკის მაგალითები ძირითადად წარმოდგენილი იქნება ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. თუმცა სახელმძღვანელო ასევე მოიცავს კარგი პრაქტიკის მაგალითებსაც ევროპის მიღმა. მათ შორის, მაგალითები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან, ახალი ზელანდიიდან და ა. შ.

სახელმძღვანელო ასევე მოიცავს ზოგად ინფორმაციას ახალგაზრდული საქმიანობისა და მობილური ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ, ტერმინთა განმარტების ცხრილს, დამატებით წყაროებზე ინფორმაციას, ამასთანავე რჩევებს კარგი პრაქტიკის მაგალითების საქართველოს რეალობაში გადმოტანასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით.

# რა უნდა გავითვალისწინოთ კარგი პრაქტიკის მაგალითის საქართველოს რეალობაში განხორციელების დროს?

კარგი პრაქტიკის მაგალითის გამოყენებას ბევრი დადებითი მხარე აქვს. როგორც აღვნიშნეთ, წარმატებულ გამოცდილებაზე და მტკიცებულებაზე დამყარებული პრაქტიკის გამოყენება ხელს უწყობს ეფექტიანი მიდგომების გავრცელებას ახალგაზრდულ საქმიანობაში. გარდა ამისა, წარმატებული პრაქტიკის მაგალითები შესაძლოა იქცნენ შთაგონებისა და მოტივაციის წყაროდ, ასევე ხელი შეუწყონ კრეატიული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ერთი წარმატებელი მაგალითი ვერ მოერგება ყველა სიტუაციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მაგალითის გამოყენება მოხდეს გააზრებულად, წინასწარ შეფასდეს გამოწვევები და არსებობდეს ამ გამოწვევებზე საპასუხო მექანიზმები.

**კარგი პრაქტიკის მაგალითის ქართულ რეალობაში გადმოტანის დროს გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:**



საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობა ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. შესაბამისად, პრაქტიკა, რომელიც სრულფასოვნად განვითარებული ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება, შესაძლოა საქართველოს რეალობაში რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდეს რესურსების სიმწირისა და შესაბამისი პოლიტიკის არქონის ან პოლიტიკის არასათანადოდ განხორციელების ფონზე;

გარდა იმისა, რომ უნდა შეფასდეს არსებული ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკის დინამიკა, ასევე უმნიშვნელოვანესია, წინასწარ გამოირკვეს მიზნობრივი ჯგუფის მახასიათებლები, როგორიცაა ასაკი, სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი, გენდერის ასპექტები, სპეციალური საჭიროებები და ა. შ.

ახალგაზრდების მიზნობრივი ჯგუფის შერჩევისა და ანალიზის შემდეგ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ახალგაზრდების საჭიროებების წინასწარი მოკვლევა. მაგალითად, საქართველოს რომელიმე სოფელში ახალგაზრდების საჭიროებები შესაძლოა ძირეულად განსხვავდებოდეს, პირობითად, დანიის რომელიმე ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდებისგან.

თუმცა ახალგაზრდების საჭიროებები მრავალფეროვანია საქართველოს შიგნითაც. სწორედ ამიტომ, საჭიროებების წინასწარი შეფასება არის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი კარგი პრაქტიკის მაგალითის საქართველოს რეალობაში გადმოტანის დროს;

წინა პუნქტთან ერთად, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რატომ შეირჩა კონკრეტული პრაქტიკა და რა იქნება კარგი პრაქტიკის გადმოტანისა და განხორციელების სავარაუდო შედეგები;

პრაქტიკის მაგალითის გამოყენების დროს, მნიშვნელოვანია, ასევე წინასწარ მოხდეს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათი როლის ანალიზი. ამასთანავე, უნდა გამოირკვეს მათი მზაობა და შეფასდეს შესაძლებლობები პრაქტიკის განხორციელების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით;

ასევე მნიშვნელოვანია, წინასწარ გამოირკვეს საჭირო რესურსებზე, მათ შორის, ადამიანურ, ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებზე წვდომის ხარისხი;

წინასწარ უნდა განისაზღვროს შესაძლო რისკები და გამოწვევები. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, რა რისკებისა და გამოწვევების წინაშე შესაძლოა აღმოჩნდეს პრაქტიკის განხორციელება. გამოწვევების საპასუხო გეგმა ასევე უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივი კონტექსტის სრულფასოვან ანალიზს.

კარგი პრაქტიკის მაგალითის გადმოტანისა და განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების წინასწარ განსაზღვრა.

ეს არის ის ზოგადი საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია კარგი პრაქტიკის მაგალითების საქართველოში გადმოტანისა და განხორციელების პროცესში. თუმცა, პრაქტიკის სპეფიციკიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოიკვეთოს სხვა საკითხები, რომლებსაც ასევე წინასწარი ანალიზი და შეფასება სჭირდება. შესაბამისად, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

# სად მოვიძიოთ ინფორმაცია ახალგაზრდულ საქმიანობაში კარგი პრაქტიკის მაგალითების შესახებ?

კარგი პრაქტიკის მაგალითების მოძიება რამდენიმე გზით არის შესაძლებელი. რასაკვირველია, ინტერნეტის გამოყენება გაცილებით მარტივს ხდის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, შესაბამისად, ინტერნეტი ერთ-ერთი ძირითადი გზაა კარგი პრაქტიკის მაგალითების მოსაძიებლად. თუმცა მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, სად და როგორ მოვიძიოთ შესაბამისი ინფორმაცია. დღესდღეობით, უკვე არსებობს რამდენიმე ციფრული პლატფორმა და ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად მუშაობენ კარგი პრაქტიკის მაგალითების შეგროვებასა და გამოქვეყნებაზე.

გთავაზობთ, რამდენიმე მაგალითს:

**1**

**ახალგაზრდობის სფეროში ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობის კარგი პრაქტიკის მაგალითების ბაზა**

*https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/good-practice1*

მონაცემთა ბაზა მიზნად ისახავს წარმოადგინოს ახალგაზრდული საქმიანობის, ახალგაზრდული მონაწილეობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სფეროში  კარგი პრაქტიკის მაგალითები. შესაბამისად, მონაცემთა ბაზის მთავარი იდეაა, უფრო თვალსაჩინო გახადოს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები - კარგი პრაქტიკის მაგალითები. მონაცემთა ბაზა მუდმივად განახლებადია და დამოკიდებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის კონტრიბუციაზე.

**2**

**SALTO-YOUTH**

*https://www.salto-youth.net/tools/toolbox/*

SALTO-YOUTH აბრევიატურაა და ნიშნავს ახალგაზრდების მხარდაჭერის, განვითარების, სწავლებისა და ტრენინგების შესაძლებლობების (SALTO-YOUTH Support, Advanced Learning and Training Opportunities for Youth) რესურს-ცენტრს. პლატფორმა საქმიანობს ახალგაზრდობის მიმართულებით ერაზმუს +-ისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამების ფარგლებში.

SALTO-ს ვირტუალური პლატფორმა მოიცავს ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა შესაძლებლობის, მათ შორის, ინფორმაციას ახალგაზრდული გაცვლითი, მოხალისეობრივი და სხვა არაფორმალური განათლების პროგრამების შესახებ, ამასთანავე, რესურსების ბაზას ტრეინინგებისათვის ე.წ. Toolbox for Training. რესურსების ბაზაში ასევე შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება კარგი პრაქტიკის მაგალითების შესახებ. კარგი პრაქტიკის მაგალითებს შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა პროექტის შემაჯამებელი ანგარიში და სახელმძღვანელოები. ძებნის ველში კატეგორიებია, რომლებიც სასურველი რესურსის ძიებას კიდევ უფრო აადვილებს.

## 3

### ERYICA - ახალგაზრდული ინფორმაციისა და კონსულტირების ევროპული სააგენტო/EUROPEAN YOUTH INFORMATION AND COUNSELLING AGENCY

*https://www.eryica.org/tools-resources*

ახალგაზრდული ინფორმაციისა და კონსულტირების ევროპული სააგენტო (ERYICA) არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და კოორდინირებაზე ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე მომუშავე ინსტიტუტებისგან და ქსელებისგან შედგება. ERYICA მუშაობს ახალგაზრდულ საქმიანობაში ინფორმაციისა და მომსახურების მიმართულებით ევროპული და საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებისათვის. სააგენტოს მიზანია დაიცვას ახალგაზრდების უფლება ხელი მიუწვდებოდეთ სრულ და სანდო ინფორმაციაზე, რათა მათ უკეთ შეძლონ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება, ასევე ERYICA ხელს უწყობს ახალგაზრდებში თვითგანვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ავტონომიას, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებასა და საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას.

სააგენტო ავითარებს, მხარს უჭერს და ხელს უწყობს ახალგაზრდული ინფორმაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის საკითხებს სხვადასხვა დონეზე, რათა მაქსიმალურად გაითვალისწინონ ახალგაზრდების საჭიროებები. ERYICA ხელმძღვანელობს ევროპული ახალგაზრდული ინფორმაციის ქარტიის ძირითადი პრინციპებით.

ERYICA 2014 წლიდან, ყოველ ორ წელში ერთხელ, ამზადებს ახლგაზრდულ საქმიანობაში კარგი პრაქტიკის მაგალითების ბროშურას, რომლებიც ხელმისწავდომია სააგენტოს ვებგვერდზე.

## 4

### EAYW ახალგაზრდული საქმიანობის ევროპული აკადემია/EUROPEAN ACADEMY ON YOUTH WORK

*https://www.eayw.net/resources/*

ახალგაზრდული საქმიანობის ევროპული აკადემია ერაზმუს + რამდენიმე ეროვნული სააგენტოს, ევროპის სოლიდარობის კორპუსის და SALTO-YOUTH რესურს ცენტრების ერთობლივი ინიციატივაა. პირველი აკადემია განხორციელდა 2019 წელს სლოვენიაში, ხოლო მეორე აკადემიის განხორციელება დაგეგმილია 2022 წლის ნოემბერში ასევე სლოვენიაში. აკადემიის მიზანია ახალგაზრდულ საქმიანობასა და ახალგაზრდულ პოლიტიკაში ინოვაციის მხარდაჭერა და ამ გზით ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა. აკადემია გვთავაზობს პლატფორმას ახალგაზრდულ სფეროში მიმდინარე განვითარების ტენდენციებისა და ინოვაციის შესახებ რეფლექსიისათვის, ცოდნისა და ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარებისათვის.

აკადემიის ვებ-გვერდი მოიცავს რესურსების პანელს, სადაც შესაძლებელია ამ საკითხების, მათ შორის, კარგი პრაქტიკის მაგალითების შესახებ სხვადასხვა ტიპის მასალის მოძიება, როგორიცაა პოდკასტები, სტატიები, ანგარიშები.

ამ მონაცემთა ბაზებისა და პლატფორმების გარდა, ინტერნეტში ასევე შესაძლებელია სხვადასხვა რელევანტური მასალის ძიება. კარგი პრაქტიკის მაგალითების მოძიება პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზეც არის შესაძელებლი, რაც ეფექტიანი გზაა პირველადი წყაროების მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, სოციალური მედიის როლიც. სოციალური მედიის არხების გამოყენებით ინფორმაციის მოსაძიებლად ეფექტურია თემატურ ჯგუფებში გაწევრიანება, სხვადასხვა პროექტისა და ორგანიზაციის გვერდის გამოწერა, ინფორმაციის მოძიება ე.წ. ჰეშთეგების გამოყენებით.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რელევანტური მასალა ნაკლებად ან თითქმის არ არის ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე. ზემოთ წარმოდგენილი პლატფორმები ხელმისწავდომია ძირითადად ინგლისურ ენაზე. ხოლო სხვადასხვა ორგანიზაციის ვებ-გვერდი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ადგილობრივ ენაზე, რაც ინფორმაციის მოპოვებას აბრკოლებს.

### ინტერნეტის საშუალებით კარგი პრაქტიკის მაგალითების მოძიებისას გასათვალისწინებელია:

ენის ფაქტორი - რამდენად ხელმისწავდომია ინფორმაცია ჩვენთვის გასაგებ ენაზე?

პირველადი წყაროს გადამოწმება

პერსონალური მონაცემების დაცვა და კიბერ უსაფრთხოება

საავტორო უფლებების დაცვა

გარდა ინტერნეტისა, კარგი პრაქტიკის მაგალითებზე ინფორმაციის მოძიება ასევე შესაძლებელია ჩაღრმავებული ინტერვიუს ან კვლევის სხვა მეთოდების გამოყენების გზით. დაუკავშირდით თქვენთვის საინტერესო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციას ან ახალგაზრდულ მუშაკს და სთხოვეთ შეხვედრა ან ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია.

ინფორმაციის მოპოვების კარგი საშუალებაა კავშირების დამყარება ე.წ. "ნეთვორქინგი". უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა ღონისძიებაზე, როგორიცაა კონფერენციები, ფორუმები, ტრეინინგები, გაცვლითი პროგრამები, კურსები და ა. შ., როგორც ვირტუალურ, ისე ფიზიკურ სივრცეში, განსაზღვრულია დრო და სივრცე კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისათვის. თუ დრო და სივრცე არ არის გამოყოფილი, გამოიყენეთ ყავის ან სადილის შესვენებები და ღონისძიების მიღმა არაფორმალური სივრცე ინფორმაციის მოსაძიებლად.

# პრაქტიკა

## ავსტრია - AHA PLUS, ახალგაზრდული მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარების სისტემა

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Aha plus ახალგაზრდული მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარების სისტემა |
| ქვეყანა | ავსტრია |
| ორგანიზაცია | ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრი ვოლარაბერგი Youth Information Centre Volalrberg |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2017 წლიდან |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 12-24 წელი<br>მოზარდები და ახალგაზრდები |

### მოკლე აღწერა

aha plus არის მოხალისეობრივი საქმიანობის ვირტუალური აღიარების სისტემა ავსტრიაში, კერძოდ, ვოლარაბერგის რეგიონში. aha ინიციატივაში ჩაბმულ ახალგაზრდას აქვს aha ბარათი, რომელზეც შესაძლებელია მოხალისეობრივი საქმიანობის სანაცვლოდ ქულების დაგროვება. მოხალისეობრივი საქმიანობის შესაძლებლობები ქვეყნდება პლატფორმაზე დარეგისტრირებული ორგანიზაციების მიერ. aha ბარათზე დაგროვილი ქულების გადაცვლა შესაძლებელია კინოს ბილეთებში, ვაუჩერებში ან სულაც სათავგადასავლო აქტივობებზე. aha ქულების სხვადასხვა ნივთსა და მომსახურებაში გადაცვლის არჩევანი მრავალფეროვანია.

## პრაქტიკის აღწერა:

პრაქტიკის განხორციელება 2017 წლიდან დაიწყო. მოხალისეობის აღიარების ვირტუალური პლატფორმის მიზანია ახალგაზრდების მხარდაჭერა, რათა აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში, მიიღონ ცოდნა და აიმაღლონ თვითრწმენა. დაარსების დღიდან, aha პლატფორმას შეუერთდა 220-ზე მეტი ასოციაცია, 2018 წლის აპრილისათვის პლატფორმაზე უკვე დარეგისტრირებული იყო 1 797 ახალგაზრდა, რომელთაც მოგროვებული ჰქონდათ ჯამში 732, 100 ქულა.

პლატფორმის შექმნაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასოციაციამ, ინსტიტუტმა, ექსპერტმა და თავად ახალგაზრდებმა. შესაბამისად, პლატფორმა მაქსიმალურად მოერგო ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს. პლატფორმა აერთიანებს მოხალისეობრივ შესაძლებლობებს, რომლებსაც აქვეყნებენ სისტემაში დარეგისტრირებული და აკრედიტებული ორგანიზაციები. მოხალისეობრივი საქმიანობის გაწევისათვის ახალგაზრდები შესაბამის ქულებს aha ბარათზე იღებენ. ქულები ითვლება მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის დახარჯული დროის მიხედვით, მაგალითად, 1-დან 4 საათამდე აქტივობისათვის შესაძლებელია 100 ქულის მიღება, ხოლო 4-დან 8 საათამდე დრო უდრის 300 ქულას და ასე შემდეგ. პლატფორმაზე განთავსებულია დროისა და ქულების გამოთვლის დეტალური სქემა. დაგროვილი ქულების გადაცვლა შესაძლებელია ბილეთებსა და ვაუჩერებში, ან კონკრეტულ ნივთებში.




*მოხალისეობის შესაძლებლობების კატალოგი, ფოტო მოპოებულია ვებ-გვერდზე: https://www.aha.or.at/plus/quests*

გარდა ქულებისა, მოხალისეობრივი საქმიანობისათვის ახალგაზრდები ასევე აგროვებენ გამოცდილებას, რომელსაც aha პლატფორმაზე Xperiences უწოდებენ. მოხალისეობის შესაძლებლობის გამოქვეყნების დროს, ორგანიზაციები უთითებენ რა ტიპის გამოცდილების მისაღებად, უნარის ან კომპეტენციის გასაუმჯობესებლად არის ეს შესაძლებლობა განკუთვნილი.

2019 წლიდან ახალგაზრდებს ასევე შეუძლიათ მიიღონ გამოცდილების დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის დართვაც შესაძლებელია რეზიუმეზე. სერტიფიკატი მოიცავს დიაგრამას, რომელიც აღწერს, რა ტიპის გამოცდილება დააგროვა მოხალისემ სხვადასხვა მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულების დროს. აღიარების ეს პრაქტიკა ეხმარება ახალგაზრდებს მოხალისეობრივი საქმიანობა გამოიყენონ სამსახურის ძიების პროცესში.

Aha plus ციფრული პლატფორმის და მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარების შესახებ მომზადდა სახელმძღვანელო, რომელიც დეტალურად აღწერს პლატფორმისა და აღიარების პროცესის ყველა მნიშვნელოვან დეტალს. სახელმძღვანელო „aha plus and Young Scot Rewards Recognition Schemes for Youth Activities" ხელმისაწვდომია ბმულზე:

*https://www.aha.or.at/wp-content/uploads/2018/07/Manual_aha_plus_Young_Scot_Rewards_english.pdf*

**ან დაასკანერეთ QR კოდი**

## ძირითადი წყაროები:

ERYICA “Good Practice in Youth Information” (2018), ხელმისაწვდომია:
*https://www.eryica.org/tools-resources*

## AHA PLUS ოფიციალური ვებგვერდი:

https://www.aha.or.at/

ვიდეოს “aha plus: Engagieren und Chancen nützen” სანახავად დაასკანერეთ QR კოდი ან გადადით ბმულზე:

*https://www.youtube.com/atch?v=fTeBmdctdro&feature=emb_title*

# ავსტრია - MOBILISIERBAR, მობილაიზერი ბარი

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | “MOBILisierBAR” |
| ქვეყანა | ავსტრია |
| ორგანიზაცია | InfoEck |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მობილური და საინფორმაციო ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2013 წლიდან დღემდე |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 12-26 წელი<br>მოზარდები და ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

2013 ავსტრიის ერთ-ერთი რეგიონში, სახელად ტიროლი, გაჩნდა საჭიროება, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ახალგაზრდებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ ახლადმიღებული კანონის შესახებ. სწორედ ამ დროს დაიბადა მობილური საინფორმაციო ფურგონის და ბარის იდეა.

## პრაქტიკის აღწერა:

ინიციატივის ფარგლებში ბრენდირებული ფურგონი და უალკოჰოლო კოქტეილის ბარი გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეზე. ფურგონი და მობილური ბარი ხშრად სტუმრობს სხვადასხვა ახალგაზრდულ ფესტივალსა და ღონისძიებას. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ უალკოჰოლო კოქტეილის ყიდვა ან უფასოდ მიღება იმ შემთხვევაში, თუ სწორად გასცემენ პასუხებს ვიქტორინას ახალგაზრდების დაცვის კანონის შესახებ. პასუხის გაცემის შემდეგ, ახალგაზრდული მუშაკები მეტ ინფორმაციას აცნობენ ვიქტორინის მონაწილეებს არასრულწლოვანთა დაცვის კანონის შესახებ, ამასთანავე ახალგაზრდებს ინფორმაცია მიეწოდებათ ცხოვრების ჯანსაღი წესის, ინტერნეტის უსაფრთხო მოხმარების, ახალგაზრდების ჩართულობისა და სხვა საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ

კოქტეილის ბარი და ფურგონის ბრენდირება მარტივად იზიდავს ახალგაზრდებს.

ახალგაზრდული მუშაკები ინფორმაციას აწვდიან ნებისიერ დაინტერესებულ პირს, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას მთელი რეგიონის მასშტაბით.

ფურგონი და ბარი მთელი წლის განმავლობაში მოძრაობს, ყოველწლიურად უერთდება 50-მდე ღონისძიებას და ინფორმაციას აწვდის 80 000 ახლგაზრდას ტიროლის რეგიონში.

ფურგონი და მობილური ბარი ხშრად ერთიანდება სხვა ინიციატივებთანაც და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვან მრავალფეროვან თემებზე.

**ძირითადი წყაროები:**

ERYICA „Good Practice in Youth Work" (2018), ხელმისაწვდომია:

**დამატებითი წყარო:**

www.mei-infoeck.at

*ფოტო მოპოვებულია ERYICA.org ვებგვერდიდან*
*https://www.eryica.org/news/2018/3/6/infoeck-jugendschutz-mobil-mobil-youth-protection-in-austria*

# აშშ - ნარკოტიკების სახლი ოდისეა

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Drug House Odyssey Program - “ნარკოტიკების სახლი ოდისეა” |
| ქვეყანა | ამერიკის შეერთებული შტატები - ფლორიდა |
| ორგანიზაცია | Lee County Coalition for Drug-Free Southwest Florida - ნარკოტიკებისაგან თავისუფალი სამხრეთ-დასავლეთ ფლორიდის კოალიცია |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგზრდული საქმიანობა, საველე ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 1994 - 2021 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 12+ |

## მოკლე აღწერა

წელიწადში ერთხელ, სამხრეთ-დასავლეთ ფლორიდის ლიის ოლქში იმართება სიმულაციური, დრამატიზებული წარმოდგენა, რომელშიც ნაჩვენებია, რა შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების ქვეშ მყოფი მოზარდების მიერ მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში ტარებას. პროგრამა რამდენიმე დღე მიმდინარეობს სპეციალურად გამოყოფილ ლოკაციაზე. მასში ასობით მოხალისე ღებულობს მონაწილეობას, რათა სკოლებიდან წარმოდგენის სანახავად მოყვანილ მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს შესთავაზონ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სცენები და დააფიქრონ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ საშიშროებებზე.

## პრაქტიკის აღწერა:

1994 წელს კოალიციის წევრებმა და მოხალისე აქტივისტებმა დაარასეს „Drug House Odyssey“ – „ნარკოტიკების სახლი ოდისეი“ და, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა რამდენჯერმე შეიცვალა, ლოკაცია, კონცეფცია და შინაარსი იგივე რჩება - მნახველებს აჩვე-

ნონ, რა შედეგები მოსდევს ნარკოტიკების, ალკოჰოლის მოხმარებას და რა ზეგავლენას ახდენს ნარკოტიკებზე მიჯაჭვულობა კონკრეტულ პიროვნებებზე, მათ ოჯახებსა და საზოგადოებაზე.

პროგრამაში მოხალისეობრივად არიან ჩართული შტატის სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლები - შერიფის ოფისი, სამაშველო სამსახურები, პირველი დახმარების პერსონალი, სამედიცინო ვერტმფრენები, მეხანძრეები, სამართალდამცველები, მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები, მოყვარული და პროფესიონალი მსახიობები, ცნობილი პოლიტიკოსები და სპორტსმენები, მასწავლებლები.

მონაწილეობა უფასოა და გამიზნულია 12 წლის ზემოთ ახალგაზრდებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. შტატის ბევრი სკოლა ორგანიზებული ექსკურსიის სახეს აძლევს ამ პროგრამაში მოსწავლეების ჩართულობას და წინასწარ არის გაწერილი გრაფიკი. ტრანსპორტირება ხდება სკოლის ავტობუსებით.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს ხვდებათ 6 სცენიანი 40 წუთიანი წარმოდგენა, რომელიც სხვადასხვა ლოკაციაზე ხორციელდება. პირველ სცენაში მნახველები აკვირდებიან მოზარდებს, რომლებიც დროს ატარებენ, ხალისობენ, მაგრამ, როდესაც ეს „საკმარისი აღარ არის“, ღებულობენ ნარკოტიკებს ან სვამენ ალკოჰოლს.

მიუხედავად იმისა, რომ იციან, ასეთ მდგომარეობაში მანქანის მართვა აკრძალულია, მნახველები ისმენენ, როგორ არწმუნებენ მოზარდები ერთმანეთს, რომ „არაფერია! ყველაფერი კარგად იქნება!“ ჯდებიან მანქანაში და მიდიან. მანქანა შენობას მოეფარება და ისმის საშინელი ავარიის ხმა...

შემდეგ სცენაში (უკვე სხვა ლოკაციაზე - მარშრუტი მარკირებულია და მონაწილეები ადვილად გადაადგილდებიან ერთი ლოკაციიდან მეორეზე) რეალისტურად არის წარმოდგენილი ავარიის სცენა.

*ფოტო მოპოვებულია ERYICA.org ვებგვერდიდან*
*https://www.eryica.org/news/2018/3/6/infoeck-jugendschutz-mobil-mobil-youth-protection-in-austria*

მნახველები გვერდიდან აკვირდებიან, როგორ ცდილობენ სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის წარმომადგენლები მოზარდების გადარჩენას.

შემდეგ სცენაში მნახველები „საავადმყოფოში“ ხვდებიან, სადაც ფარდის მიღმა, ექიმები ცდილობენ ორი მოზარდის გადარჩენას (აქ იმდენად არ ჩანს რამდენადაც ისმის ის, რაც ხდება). სამწუხაროდ, ერთ-ერთი მოზარდის გადარჩენა ვერ ხერხდება.

დარბაზში მსხდომები ისმენენ გარდაცვლილი მოზარდის მშობლებისა და ახლობლების ემოციებს.

შემდეგ ლოკაციაზე მონაწილეები მომსწრენი ხდებიან, როგორ აპატიმრებს პოლიციის ოფიცერი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მოზარდს და ამას მოჰყვება სასამართლო პროცესი.

*„ჩვენ გვინდა, ვაჩვენოთ მოზარდებს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის ტარებას, სხვადასხვა გამაბრუებელი ნივთიერებების გამოყენებას. გვინდა ვაჩვენოთ, რომ ამ ყველაფერს სამწუხარო, გრძელვადიანი შედეგები მოსდევს. გვინდა ისეთი ზეგავლენა მოვახდინოთ ბავშვებზე, რომ თქვან - არ მინდა ისეთი ვიყო და ისე დავასრულო ცხოვრება,“*

*- პროგრამაში ჩართული პოლიციის ერთ-ერთი ოფიცრის სიტყვები.*

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის დასასრულს მოზარდებს ხვდებიან და ესაუბრებიან საზოგადოების ისეთი ცნობილი სახეები, რომლებიც მათთვის ავტორიტეტს წარმოადგენენ - ცნობილი სპორტსმენები, მომღერლები, მსახიობები და უზიარებენ საკუთარ დამოკიდებულებას ნარკოტიკების მოხმარების ზიანთან დაკავშირებით.

მე, როგორც მოხალისე, პირადად ვმონაწილეობდი ამ პროგრამაში 2007-2011 წლებში, როცა ფლორიდის შტატში ვცხოვრობდი. ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოხადინა ფორმამ და ფორმატმა, ორგანიზაციის მასშტაბებმა, ადგილობრივი საზოგადოების წარმოუდგენელი დონის ჩართულობამ, საჯარო, ბიზნეს და არასმთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობამ და ზოგადად მოქალაქეების მაღალმა სამოქალაქო თვითშეგნებამ.

**ძირითადი წყაროები:**

ოფიციალური გვერდი - Lee County Coalition for Drug-Free Southwest Florida

*https://www.drugfreeswfl.org/*

**დამატებითი წყარო:**

CADCA – Building drug-free communities

*https://www.cadca.org/resources/coalitions-action-drug-free-lee-gets-community-support-drug-house-odyssey-program*

**ფოტოები მოძიებულია**

ოფიციალურ გვერდზე

*https://www.drugfreeswfl.org/drug-house-odyssey-2020/*

ვიდეო შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე

*https://www.drugfreeswfl.org/*

# ახალი ზელანდია - საგანმანათლებლო პრეზენტაციები უფროსკლასელებისათვის

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | საგანმანათლებლო პრეზენტაციები უფროსკლასელებისათვის |
| ქვეყანა | ახალი ზელანდია |
| ორგანიზაცია | Attitude |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა, სასკოლო ახალგაზრდული საქმინობა |
| განხორციელების პერიოდი | 1996 - 2021 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 13-18 |

## მოკლე აღწერა

„ეთითიუდი“ არის ახალგაზრდებისაგან შემდგარი ორგანიზაცია, რომელიც ახალი ზელანდიის სკოლებში უფროსკლასელებისათვის ატარებს საინტერესო, სახალისო პრეზენტაციებს მენტალური, ფიზიკური, ემოციური ჯანმრთელობის თემაზე.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს პრეზენტაციები ხელს უწყობს ახალგაზრდებში სტრესმედეგობის გამომუშავებას, ავითარებს ასაკისთვის შესაფერის სასიცოცხლო უნარებს და ამით ახდენს სუიციდის, მოზარდებში ფეხმძიმობის, ბულინგის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენების, დაბალი თვითშეფასების პრევენციას.



## პრაქტიკის აღწერა:

1996 წელს, ორგანიზაციაში „The Parenting Place“ (მშობლობის ადგილი) ჩამოყალიბდა ახალი განყოფილება Attitude (ეთითიუდი), რომელმაც მიზანად დაისახა კრეატიული, სახალისო ფორმით გადაეცა მოზარდებისათვის ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა მათი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით. დღეისათვის ორგანიზაციაში 9 ახალზარდა სპიკერია, რომელიც რეგულარულად ატარებს შეხვედრებს სკოლის უფროსკლასელებთან. დღეისათვის ის თანამშრომლობს ახალი ზელანდიის თითქმის 500 სკოლასთან და წლიურად ხვდება დაახლოებით 275,000 მოზარს. გარდა ამისა, ორგანიზაცია ახალგაზრდებს ეკონტაქტება მასმედიის სხვადასხვა ფერადი, სახალისო, ადვილად მოხმარებადი პლატფორმის საშუალებით.

*https://www.attitude.org.nz/about*

*https://www.facebook.com/attitudeforschools*

*https://www.instagram.com/attitudenz/*

*https://www.tiktok.com/tag/attitudenz*

*https://www.youtube.com/attitudeforschools*

ეთითიუდის მისიაა ხელი შეუწყოს სკოლებს, საზოგადოებას და Whanau-ს (მაორის ენაზე ნიშნავს ოჯახს, მაგრამ კიდევ უფრო ღრმა და კომპლექსური კონცეფციაა, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ოჯახს) განავითარონ Aotearoa-ს (ასე უწოდებენ ახალზელანდიელები თავის ქვეყანას) ახალ თაობაში სტრესმედეგობის განვითარება. მათი მიზანია, შეძლონ შეხვედრაში მონაწილე თითოეული ახალგაზრდის ინსპირირება და ჯანსაღი ცხოვრებისათვის საჭირო პრაქტიკული ინსტრუმენტებით აღჭურვა.

სამ ძირითად მიმართულებად არის ეთითიუდის პროგრამა გათვლილი.

## სტუდენტებისათვის - გააზრებული, მდგრადი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გამომუშავება.

დამოუკიდებელი ანალიტიკური კომპანიის - Point Research-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ეთითიუდის პროგრამაში მოანაწილე ახალგაზრდების 98% ნამდვილად ფასეული იყო მათთვის და 78% აღნიშნა, რომ ეს პრეზენტაციები ზეგავლენას მოახდენს მათ მიერ მომავალი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ეთითიუდის პროგრამა ეფუძნება Te whare tapa whā -ს კონცეფციას (1984 წელს სერ მეისონ დურიეს მიერ შექმნილ ოთხგანზომილებიან მოდელს მაორის (ახალზელანდიელების) ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ და სოციალური და ემოციური სწავლების მოდელს. პროგრამა მიზნად ისახავს აამაღლოს ახალგაზრდების სტრესმედეგობა და მდგრადობა შემდეგი დამცავი ფაქტორების გათვალისწინებით:

- Tautoko (მხარდაჭერა) - ახალი ზელანდიის ჯანდაცვის კურიკულუმის მესიჯების, კონცეფციების ადვოკატირება
- მოზარდების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ურთიერთობების გამყარება (მშობლებთან, თანატოლებთან და სხვა მნიშვნელოვან ზრდასრულებთან)
- ახალგაზრდების მიერ საკუთარი თავისა და გარშემომყოფების პატივისცემის წახალისება
- აწმყოსა და მომავლის მიმართ ახალგაზრდებში ნდობის გამყარება
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხარისხიან ინფორმაციაზე წვდომა
- მოზარდების სკოლისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესება
- ახალგაზრდების გაძლიერება, რათა შეძლონ დახმარების თხოვნა და მათი აღჭურვა ინფორმაციით სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების შესახებ, ვისაც შეეძლება მათი დახმარება.

## WHĀNAU-სათვის (ოჯახისათვის) - შვილებთან კავშირის გაღრმავება

კვლევები აჩვენებს რომ მოზარდების დიდი ნაწილისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია მათი მშობლების აზრი. უფროსებს უჭირთ ამ ფაქტის დაჯერება, თინეიჯერები კი საჯაროდ ამის აღიარებას უფრთხიან. ფაქტია, რომ რაც უფრო ჯანსაღი და მყარია მოზარდის ურთიერთობა მის ცხოვრებაში არსებულ მნიშვნელოვან ადამიანებთან, მით უკეთესი პერსპექტივა აქვს მის კეთილდღეობას გრძელვადიან ჭრილში.

ეთითიუდის წევრები ცდილობენ დააფიქრონ მოზარდები whānau-სთან მათი ურთიერთობის მნიშვნელობაზე პირდაპირი და ირიბი მეთოდებით. ეს ეხმარება მოზარდებს, უკეთ გაერკვნენ მათი მშობლების/მეურვეების ქმედებების რაციონალში, გაუგონ და პატივი სცენ მათ გადაწყვეტილებებს. აქვე საუბრობენ იმაზე, როგორ შეიძლება ამ ურთიერთობების გაუმჯობესება.

## მასწავლებლებისათვის - ჯანმრთელობის კურიკულუმისა და პოზიტიური ქცევის გამყარება

ეთითიუდის პრეზენტაციები მიმართულია არა მხოლოდ იმაზე, რომ ხელი შეუწყოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ჯანმრთელობის კურიკულუმის განხორციელებას, არამედ წაახალისოს პოზიტიური ქცევა და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების უნარები მთელი ქვეყნის უფროსკლასელებში.

სპეციალურად მასწავლებლებისათვის შეიქმნა არაჩვეულებრივი რესურსი - სახელმძღვანელო „Being me“ (ვიყო ის ვინც ვარ), რომლის მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს უფრო საინტერესო და ეფექტიანი გახადონ ჯანმრთელობის კურიკულუმის სწავლება. ოთხი მნიშვნელოვანი თემაა სახელმძღვანელოში განხილული: მეგობრობა, იდენტობა, პუბერტატი და ტექნოლოგიები. თითოეული განყოფილება შეიცავს ინფორმაციას, აქტივობებს, მოთხრობებს, ციტატებსა და სახლში მშობლებთან ერთად გასაკეთებელ აქტივობებს. პროგრამა ორ წელზეა გათვლილი.

ეთითიუდის პრეზენტაციების არასრული ჩამონათვალი:

### CONNECTED - ონლაინ მეგობრობა, უსაფრთხოება და მოქალაქეობა

ეხმარება ახალგაზრდებს ჩაუფიქრდნენ იმას, რა ზეგავლენას ახდენს ტექნოლოგიები მათ ცხოვრებაზე. პრეზენტაცია ეხმარება მოზარდებს გახდნენ პოზიტიური კიბერ-მოქალაქეები და მოძებნონ ჯანსაღი ბალანსი ონლაინ და ოფლაინ სამყაროებს შორის. ონლაინ ბულინგი, ინტერნეტზე მიჯაჭვულობა და კიბერ-უსაფრთხოება ამ პრეზენტაციის მნიშვნელოვანი საკითხებია.

### HAUORA - ჰოლისტიური სიჯანსაღე

ჰოლისტიური სიჯანსაღის მოდელის წარდგენა და თითოეული მოზარდის ფიზიკური, მენტალური, სულიერი და სოციალური ასპექტების გააზრება. ეს პროგრამა ეხმარება ახალგაზრდებს, გაეცნონ და თავად შექმნან იდეები, როგორ გაუმკლავდნენ თინეიჯერობის გამოწვევებს და გახდნენ საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია.

### ურთიერთობები

ამ პროგრამაში მოზარდები ეცნობიან, როგორ შექმნან და გაამყარონ ჯანსაღი ურთიერთობები, როგორ გაუმკლავდნენ თანატოლების მხრიდან ზეწოლას და გადაიტანონ მტკივნეული განშორებები.

### სტრესი და შფოთვა

მენტალური სიჯანსაღე დღეს განსაკუთრებით აქტუალური საკითხია. ამ პრეზენტაციაში მოზარდები უღრმავდებიან მათი რეალობისთვის ორ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას - სტრესს და შფოთვას.

კოვიდ-19 პანდემიის გამო, სკოლებში პრეზენტაციების ჩატარება, ბუნებრივია, შეწყდა და ამიტომ იზოლაციაში მოქცეული მოზარდებისათვის ათითიუდის წევრებმა შექმნეს სპეციალური დისტანციური პროგრამები.

**ძირითადი წყაროები:**

ორგანიზაციის ვებ-გვერდი

*https://www.attitude.org.nz/high-school-presentations*

**დამატებითი წყარო:**

ახალი ზელანდიის კონცეფცია-მოდელი ჯანსაღი ცხოვრების შესახებ

# ბელგია - STREET SMART

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Street Smart |
| ქვეყანა | ბელგია |
| ორგანიზაცია | Mobileschool.org - მობილური სკოლა |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მობილური ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2019 - 2021 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | სკოლის ასაკი, მოზარდები, ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

უკვე 15 წელია ბელგიის ქალაქ ლიუვენში დაარსებული ჰიბრიდული ორგანიზაცია „მობილური სკოლა“ ორი მიმართულებით მუშაობს: ახალგაზრდული მუშაკებისა და ბავშვებთან ქუჩაში მომუშავე ორგანიზაციებისათვის ქმნის საგანმანათლებლო მასალების, ატარებს ტრენინგებსა და ქოუჩინგს (StreetSmart) და, ამავე დროს, უკანასკნელ სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ ეფექტიან სასწავლო მასალას სთავაზობს ბიზნესის წარმომადგენლებს (StreetwiZe). ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა 360 გრადუსიანი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და მოწყვლად ახალგაზრდებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დღეისათვის მობილური სკოლის მეთოდოლოგია უკვე 55 საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის დანერგილი მსოფლიოს 28 ქვეყანაში.

*(STREET SMART ნიშნავს გამჭრიახობას, უნარს, თავი გაიტანო და გადარჩე ნებისიერ სიტუაციაში, განსაკუთრებით, თუ ცხოვრობ და მუშაობ რთულ ურბანულ გარემოში)*

## პრაქტიკის აღწერა:

ახალგაზრდული მუშაკები მუდმივად ვეძებთ კრეატიულ მასალას და აქტივობებს, რათა უკეთ მოვიზიდოთ, დავაინტერესოთ, ჩავრთოთ ჩვენი სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები. წლების განმავლობაში StreetSmart-ის ახალგაზრდულმა მუშაკებმა მოამზადეს 260-ზე მეტი სხვადასხვა თემატური საგანმანათლებლო მასალა ქუჩაში მყოფი ბავშვებისა და ახალგაზრდების ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენა-ხელშეწყობის მიზნით.

იმისათვის, რომ ბელგიაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება მთელი მსოფლიოს ახალგაზრდული მუშაკებისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, გადაწყდა შეექმნათ ციფრული სივრცე, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდული მუშაკები და განმანათლებლები შეძლებდნენ სწრაფად მოეძებნათ და გაეზიარებინათ საკუთარი საუკეთესო აქტივობები და პრაქტიკები. ამ პროექტის განხორციელება დაიწყო ბერძნული ორგანიზაცია თეატრის მოყვარულ ქალთა კავშირის - **(Ladies Union of Drama)** და **რუმინეთის Save the Children-თან** ერთად 2019 წელს.

STREETSMART პლატფორმა ოთხ დიდ კატეგორიად არის დაყოფილი.

StreetSmart Impact (გავლენა, ზემოქმედება) - ამ განყოფილებაში ოთხი მნიშვნელოვანი ფუნქციაა გაერთიანებული

- ადმინისტრაციული - კვლევებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდული მუშაკების დიდ ნაწილს დროის ფლანგვად მიაჩნია და ამიტომ თავს არიდებს, ან ზედმეტად ბევრი დრო ეკარგება ადმინისტრაციულ საქმიანობაზე - ჩანაწერების გაკეთება, ფორმების შევსება, ინფორმაციის ატვირთვა. StreetSmart Impact-ის პლატფორმაზე იპოვით ახალგაზრდული მუშაკებისათვის ადვილად სამართავ აპლიკაციას, ცალკეა მონაწილეებისათვის განკუთვნილი აპლიკაცია და ინტერნეტ-პლატფორმა, სადაც მსურველებს შეუძლიათ კონსულტაცია მიიღონ ავტომატიზირებული ინტერაქტიული პროგრამის საშუალებით.

- მონაწილეთა მონაცემებისა და პროგრესის მონიტორინგი - აქ საშუალება გაქვთ არა მხოლოდ აქტივობების აღრიცხვა აწარმოოთ და მონაწილეების ჩართულობას მიადევნოთ თვალი, არამედ გაზომოთ პედაგოგიური ზეგავლენა თითოეულ მონაწილეზე და თვალნათლივ დაინახოთ თქვენი შრომის შედეგები.

- აპლიკაციის მეშვეობით წვდომა გექნებათ თითოეული მონაწილის ინფორმაციასა და პროგრესზე. უმარტივესი ხდება მონაწილეთა პორტფოლიოს წარმოება, რომელიც შეგიძლიათ გაუზიაროთ კოლეგებს საჭიროების შემთხვევაში ან სრულიად კონფიდენციალურად შეინახოთ.

- დისტანციური ციფრული ქოუჩინგი - 'I am StreetSmart' აპლიკაცია დამატებითი უფასო რესურსია, რომელიც მონაწილეებს შეგიძლიათ შესთავაზოთ. აპლიკაცია შეუძლია ჩამოტვირთოს და თავისი ანგარიში დაუკავშიროს თქვენმა ორგანიზაციამ. ეს აპლიკაცია საშუალებას აძლევს ახალგაზრდულ მუშაკს, დისტანციურად ჰქონდეს მჭიდრო კავშირი ახალგაზრდებთან; ახალგაზრდებს კი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს, თავად აკონტროლონ საკუთარი მონაცემთა ბაზა და თვალი მიადევნონ საკუთარ ზრდა-განვითარების პროცესს.

ვიდეო ამ აპლიკაციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულზე

*https://www.youtube.com/watch?time_continue=36&v=cxuoXlEOUqU&feature=emb_logo*

STREETSMART PLAY (თამაში) - ნამდვილი კლონდაიკი (კლონდაიკი - ოქროს მომპოვებლური რაიონი კანადის ტერიტორიაზე) სივრცე ახალგაზრდული მუშაკებისათვის, სადაც თავმოყრილია არაფორმალური განათლების სფეროში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება. კატეგორიებად დაყოფილი 300-ზე მეტი საგანმანათლებლო აქტივობა, თამაშები, სავარჯიშოები დეტალურად არის გაწერილი, მარტივად გასაგები ინსტრუქციები, ვიზუალური მასალა, ვიდეოები. ასევე არაჩვეულებრივი საშუალება მსურველებისათვის - თავადაც ატვირთონ დეტალურად გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი საკუთარი თამაშები, აქტივობები, სავარჯიშოები.




დეტალური ინფორმაცია ამ განყოფილების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე

*https://www.street-smart.be/products/streetsmart-play*

STREETSMART LEARN (სწავლა) - ეს არის დისტანციური, ონლაინ სასწავლო პლატფორმა ახალგაზრდული მუშაკებისათვის. ჯერჯერობით ეს განყოფილება დამუშავების სტადიაშია და 2021 წლის ნოემბერში იგეგმება მისი ჩაშვება ფართო მოხმარებისათვის. დაფინანსებულია Erasmus -ის და Google-ის მიერ.

STREETSMART WEELS (მოძრავი, ბორბლებზე შემდგარი) - ეს არის ინტეგრირებული, მოზიდვაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს StreetSmart ციფრულ ინსტრუმენტებსა და მოძრავ, ბორბლებზე შემდგარ დაფას არაფორმალური განათლების „ქუჩაში გასატანად.“ აქ ორგანიზატორები დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ როგორც რეალურ მობილურ დაფებს მთელი თავისი აღჭურვილობით, ასევე სპეციალურ ტრეინინგს და მენტორინგს ახალგაზრდული მუშაკებისათვის, ვინც მუშაობის ამ ფორმას აირჩევს.

ვიდეო ამ პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულზე

*https://www.youtube.com/watch?v=Pz_vmnLvDHU*

**ძირითადი წყაროები:**
ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი

**დამატებითი წყარო:**
StreetSmart Play

*https://www.street-smart.be/*

*https://play.street-smart.be/en*

**ფოტო მოძიებულია**

MobileSchool.ORG

ვიდეო პროგრამის დამფუძნებლისაგან შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე

*https://www.youtube.com/watch?v=O3K2axpUczA&t=21s*

# ბელგია - ჰიპ-ჰოპ სუბკულტურა ახალგაზრდულ საქმიანობაში

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | ჰიპ-ჰოპ სუბკულტურა ახალგაზრდულ საქმიანობაში |
| ქვეყანა | ბელგია (ფლანდრიის რეგიონი) |
| ორგანიზაცია | De Stroate |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ახალგაზრდული ცენტრის მობილური და ღია ახალგაზ-რდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2016 წლიდან დღემდე |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | ახალგაზრდები, NEET ახალგაზრდები – დასაქმების, განათლებისა და ტრეინინგის მიღმა მყოფ ახალგაზრდათა ჯგუფი |

## მოკლე აღწერა

De Stroate დასავლეთ ფლანდრიის დიალექტზე „ქუჩას“ ნიშნავს, სწორედ ამ სახელს ატარებს ბელგიაში, კორტრეკის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთი ახალგაზრდული ცენტრი. ახალგაზრდული ცენტრის მიზანია, ჰიპ-ჰოპ სუბკულტურის პოპულარიზაციის გზით, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ინტეგრაციასა და რეალიზებას. ცენტრი ძირითადად ეწევა ღია ახალგაზრდულ საქმიანობას, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში კი, ასევე, ხშირად ახორციელებს მობილურ ახალგაზრდულ საქმიანობასაც.

## პრაქტიკის აღწერა:

ახალგაზრდებში ჰიპ-ჰოპ კულტურის პოპულარობა ახალგაზრდულმა ცენტრმა „De Stroat” ეფექტიანად გამოიყენა ახალგაზრდებთან, განსაკუთრებით კი NEET ახალგაზრდებთან ურთიერთობისთვის. ცენტრი ახორციელებს ვორქშოპებს(სამუშაო შეხვედრებს) რამდენიმე მიმართულებით, მაგალითად:

- ჰიპ-ჰოპის მუსიკისა და ტექსტის შექმნის სესიები;
- ჰიპ-ჰოპ/ქუჩის ცეკვის სესიები და პერფორმანსები (წარმოდგენები);
- გრაფიტი;
- ჰიპ-ჰოპის ისტორია;
- პოეზია და ე.წ. SLAM POETRY;

გარდა თემატური ვორქშოპებისა, ახალგაზრდული ცენტრი ასევე ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, მეწარმეობის განვითარება ჰიპ-ჰოპის თემატიკაზე ახალგაზრდებში, ჰიპ-ჰოპთან დაკავშირებული შემოქმედებითი უნარების განვითარება და ა.შ.

აღსანიშნავია "FundamenTelen" - სახელოვნებო გამოხატვის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს შემოქმედებითი პოტენციალის აღმოჩენასა და განვითარებას ახალგაზრდებში. პროექტი დაფუძნებულია იდეაზე, რომ ახალგაზრდებს აქვთ უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი თავი და შეზღუდვების გარეშე ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში.

პროექტი FundamenTelen მოიცავს ორ ძირითად ფაზას, რომელიც ურთიერთდაკავშირებულია. პირველი მიმართულებაა "FundamenTelen", რომელიც გულისხმობს ახალაზრდებისათვის თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფას ცენტრის ბაზაზე, რათა აღმოაჩინონ საკუთარი ტალანტი და გააცნობიერონ ინტერესები. გარდა ამისა, ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობა სცდება ცენტრის სივრცეს, რაც ეხმიანება მობილური და მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობის იდეას. ახალაზრდული მუშაკები ხშირად მიდიან მუნიციპალიტეტის პარკებსა და მოედნებზე, რათა უკეთესად მიაწვდინონ ხმა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მათ, ვინც საკუთარი ინიციატივით არ მივიდოდა ცენტრში. ამასთანავე, სხვადასხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან და დაინტერესებულ მხარესთან ერთად, ჰიპ-ჰოპ სუბკულტურასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტზე ხშირად იმართება ღია სესიები.

ინიციატივის შემდეგი ფაზაა ე.წ. "Fundamenten". მას შემდეგ, რაც ახალგაზრდები დაინტერესდებიან შემოქმედებითი გამოხატვის რომელიმე მიმართულებით, ახალგაზრდული ცენტრი მათ სთავაზობს უფასო ვორქშოპების სერიას. ასევე უზრუნველყოფს სივრცეს, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი ტალანტის განვითარება, განსაკუთრებით მათ, ვისაც თავისუფალ, უსაფრთხო და კომფორტულ სივრცეზე წვდომა ნაკლებად აქვს.

გარდა საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობისა, ახალგაზრდული ცენტრი ასევე ავითარებს სამეწარმეო საქმიანობას. ცენტრის ბაზაზეა ჰიპ-ჰოპ სუბკულტურის თემატიკაზე კაფე, რომელსაც ასევე უძღვებიან ახალგაზრდები. კაფე წარმოადენს შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს ახალგაზრდული ცენტრისათვის, შემოსავალი ცენტრის საქმიანობის განვითარებას ხმარდება.

აღნიშნული პრაქტიკა კარგი ილუსტრაციაა იმისა, როგორ შეიძლება დაუკავშირდეს ახალგაზრდული საქმიანობა სხვადასხვა სუბკულტურას, მოერგოს ახალგაზრდების სახელოვნებო ინტერესებსა და თვითგამოხატვის ფორმებს. ჰიპ-ჰოპი ასევე აღმოჩნდა ეფექტიანი გზა იმ ახალგაზრდებთან ურთიერთობისთვის, რომლებიც შესაძლოა თავად არ გამოხატავდნენ ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართვის სურვილს და არ მიდიოდნენ ახალგაზრდულ ცენტრში. შესაბამისად, პრაქტიკამ ხელი შეუწყო ახალგაზრდული მუშაკების მობილობას იმ სივრცეში, სადაც თავად NEET ახალგაზრდები იყვნენ.

**ძირითადი წყაროები:**

De Stroate ვებგვერდი:

*https://destroate.be/portfolio_detail.php?id=66*

*ფოტო მოძიებულია De Stroate-ს ფეისბუქ გვერდზე:*
*https://www.facebook.com/hiphopcentrumdestroate/photos/1436070083224276*

# დანია - ჯიბის ფილმები

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | „ჯიბის ფილმები“ |
| ქვეყანა | დანია |
| ორგანიზაცია | Lommefilm (Pocket film)<br>ჯიბის ფილმი |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ციფრული და მობილური ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2006 წლიდან |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 10-18 წელი<br>ბავშვები და მოზარდები |

## მოკლე აღწერა

სმარტფონებით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ე.წ. „ჯიბის ფილმების“ გამოყენების პრაქტიკა 2006 წელს დაიწყო. კინემატოგრაფიის ახალი ჟანრის - მობილურით გადაღებული ფილმები საწყის ეტაპზე ალტერნატიულ ჯგუფებში იყო აქტუალური. თუმცა ორგანიზაცია Lommefilm-მა „ჯიბის ფილმების“ შექმნის მეთოდი გამოიყენა ახალგაზრდულ საქმიანობაშიც, რაც საკმაოდ ეფექტიანი პრაქტიკა აღმოჩნდა.

## პრაქტიკის აღწერა:

Lommefilm/ჯიბის ფილმი დანიური ორგანიზაციაა, რომელიც, მობილურით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნის გზით, ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ორგანიზაცია თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, ასევე, ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა „Save the Children”, დანიის კიბოს საზოგადოება, დანიური ფონდი „TrygFonden” და ა.შ.

ორგანიზაცია სამუშაო შეხვედრებს, ე.წ. ვორქშოპებს მართავს დანიის სხვადასხვა რეგიონში, ყოველ წელს ტარდება 100-ზე მეტი ღონისძიება. აქტივობებს უძღვებიან ახალგაზრდული მუშაკები. ჯიბის ფილმების თემატიკა მრავალფეროვანია და ეხება ისეთ საკი-

თხებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, ინოვაცია, ბულინგი ვირტუალურ სივრცეში, ოჯახური ძალადობა და ა.შ.

ყოველი სამუშაო შეხვედრის/ვორქშოპის შემდეგ შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმი იტვირთება და ქვეყნდება ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ფილმების ნახვა ნებსიმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისწავდომია. ახალგაზრდული მუშაკები მეთოდის წარდგენისა და შესაბამისი ინსტრუმენტების გაზიარების შემდეგ, ახალგაზრდებთან ერთად ქმნიან ფილმებს. ახალგაზრდები ფილმებს ამზადებენ საკუთარი ან ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული სმარტფონებისა და აიპადების გამოყენებით.

Lommefilm თითოეული აქტივობის განხორციელების შემდგომ აგზავნის შეფასების კითხვარებს მონაწილეებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან. შეფასების ფორმები ორგანიზაციას ეხმარება, უკეთ დაგეგმოს სამუშაო შეხვედრები და გააუმჯობესოს სასწავლო მასალები. ერთ-ერთ პუბლიკაციაში დანიის კიბოს საზოგადოება Lommefilm-ის საქმიანობას აფასებს დადებითად და აღნიშნავს, რომ ეს მიდგომა ეფექტიანია ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების, დამოკიდებულებებისა და ქცევის ცვლილების პროცესში.

**ძირითადი წყაროები:**

ციფრული ახალგაზრდული მუშაობის პლატფორმა digitalyouthwork.eu

*https://www.digitalyouthwork.eu/?material=pocket-film-involving-young-people-film-workshops-eng*

**დამატებითი წყარო:**

*https://www.facebook.com/lommefilm*

ვიდეოს “Pocket Film - involving young people in film workshops” სანახავად დაასკანერეთ QR კოდი ან გადადით ბმულზე:

*https://www.youtube.com/watch?v=3fw5J2Na4AQ*

*ფოტო მოძიებულია Lommefilm-ის ფეისბუქ გვერდზე: https://www.facebook.com/167956874469/photos/pb.100063699724991.-2207520000../10155410211744470/?type=3*

# დიდი ბრიტანეთი - GREEN LEADERS, მწვანე ლიდერები

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Green Leaders |
| ქვეყანა | დიდი ბრიტანეთი |
| ორგანიზაცია | Groundwork |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | სხვადასხვა |
| განხორციელების პერიოდი | 2016 - დღემდე |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 16-20 წლის ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

გრაუნდვორქის მწვანე ლიდერების პროგრამა ახალგაზრდებს სთავაზობს უფასო მენტორინგს ადგილობრივი სათემო განვითარების პროექტების შექმნისა და განხორციელებისათვის. დაინტერესებულ ახალგაზრდებს შეუძლიათ გაიარონ სპეციფიური ტრეინინგები, რათა შეძლონ თანატოლების აყოლიება და ადგილობრივი მწვანე სივრცეების შექმნა-დაცვაში მონაწილეობა.

## პრაქტიკის აღწერა:

გრაუნდვორქი არის დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც ეფუძნება რწმენას, რომ ადამიანები და მათი საცხოვრებელი სივრცე ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. იქ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული სოციალურ-სათემო პროექტებში, ბუნებრივია, მეტად არის განვითარებული ჯანსაღი ინტერესი ადგილობრივი გარემოს მიმართ.

უამრავმა კვლევამ აჩვენა, რომ სტერეოტიპი, თითქოს თანამედროვე ახალგაზრდების უმეტესობა ამჯობინებს სახლში კომპიუტერთან ყოფნას, არ შეესაბამება რეალობას. BBC-ს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდები ამჯობინებენ საჯარო, მწვანე სივრცეებში დროის გატარებას, თუმცა ასეთი სივრცეების რაოდენობა და ხელმისწვდომობა ბოლო წლების განმა-

ვლობაში საგრძნობლად მცირდება დაფინანსების შემცირების ხარჯზე.

ახალგაზრდა მწვანე ლიდერების პროგრამა 33 მილიონი ფუნტი სტერლინგის გრანდიოზული ფონდიდან დაფინანსებული 31 პროექტიდან ერთ-ერთია, რომელიც დიდი ბრიტანეთის 6 ეკონომიურად ყველაზე შეჭირვებულ რეგიონში ხორციელდება.

## პროგრამას 4 ძირითადი მიზანი აქვს:

### 1

**საშუალება მისცეს ახალგაზრდებს, შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას, მოხალისეობრივ საქმიანობასა და სამეწარმეო პროექტების ინიციირება-განხორციელებას მწვანე ეკონომიკის ფარგლებში.**

a. მოსალოდნელი შედეგები - პროგრამაში ჩართული ახალგაზრდები შეძლებენ:

*i. განივითარონ ღიდეიული უნარ-ჩვევები ადგილობრივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში*

*ii. გაიუმჯობესონ სტრესმედეგობის უნარები*

*iii. აიმაღლონ ცნობიერება ადგილობრივი მწვანე ეკონომიკის შესახებ და განივითარონ დასაქმებისათვის საჭირო უნარები.*

### 2

**ჩართოს ახალგაზრდები ადგილობრივ გარემოზე ზრუნვაში, წაახალისოს და ხელი შეუწყოს მოხალისეობრივ აქტივიზმს.**

a. მოსალოდნელი შედეგები - პროგრამაში ჩართული ახალგაზრდები შესძლებენ:

*i. გაეცნონ ჰა ზეგავლენას ახლენს კლიმატის ცვლილება მათ ადგილობრივ გარემოსა და თემზე, ჰა ზეგავლენა შეუძლიათ თავად მოახდინონ ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებებზე.*

*ii. აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივ გარემოზე ზრუნვაში გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების გზით.*

### 3

**დააინტერესოს ადგილობრივი საზოგადოება გარემოსდაცვითი საკითხებით და ხელი შეუწყოს თემისა და ახალგაზრდების თანამშრომლობას**

a. მოსალოდნელი შედეგები - ადგილობრივი თემის წევრები შეძლებენ:

*i. აიმაღლონ ცნობიერება მათ თემზე კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის შესახებ*

*ii. ინტერესი გამოამჟღავნონ ახალგაზრდების მიერ დაგეგმილ გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობაზე*

*iii. ადგილობრივი ახალგაზრდების მიმართ უფრო პოზიტიური განწყობა ჩამოიყალიბონ.*

## 4

**კლიმატის ცვლილებების მიმართ ადგილობრივი დასახლებების სტრესმედეგობის ამაღლება.**

პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება სპეციალური "მიწოდების მოდელი", რომელიც სამ კატეგორიას მოიცავს:

- *გარემო (Environment-led): უკვე არსებული პროექტების გამოყენება იმის განსასაზღვრად, სად და როგორ დაიგეგმოს ახალი აქტივობები.*
- *განათლება (Education-led): სკოლებთან თანამშრომლობა და სკოლების მიმდებარე ტერიტორიების გამოყენება.*
- *ახალგაზრდები (Youth-led): ახალგაზრდების ჩართულობა არაფორმალური განათლების სივრცეების საშუალებით (მაგალითად, ახალგაზრდული კლუბები) და ახალგაზრდებთან ერთად ახალი ფიზიკური სივრცეების კეთილმოწყობის პროექტების შექმნა-განხორციელება.*

პროგრამაში მონაწილეობისათვის შერჩეულ ახალგაზრდებს ენიშნებათ მენტორი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს, გახდნენ ცვლილებების აგენტები, ამისათვის განივითარონ თვითრწმენა და შეიძინონ ის ცოდნა და უნარები, რომლებიც დაეხმარებათ პოზიტიური სოციალური ცვლილებების ინიცირება-განხორციელებაში.

პროექტები მოიცავს გარემოს დასუფთავებას, საზოგადოებრივ სივრცეებში კედლების მოხატვას, მცენარეების დარგვა-მოვლას, სკოლის მოსწავლეებთან კლიმატის ცვლილებებზე საუბრების ჩატარებასა და ადგილობრივი მწვანე სივრცეების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პროექტში ჩართული ახალგაზრდები გადიან ტრეინინგებს მწვანე პროფესიებისა და დამსაქმებლების შესახებ, ეცნობიან სათემო საჭიროებების გამოვლენისა და ადვოკატირების მექანიზმებს, სწავლობენ პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ტექნიკებს.

„პროექტებში მონაწილეობის შედეგად, ახალგაზრდები სხვადასხვა უნარს ეუფლებიან. ჩვენ რჩევას ვაძლევთ თანატოლებთან და სხვა ორგანიზაციებთან ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელობის შესახებ. როდესაც ახალგაზრდები ხედავენ, როგორ ვითარდება და რა შედეგებს აღწევს მათ მიერ დაგეგმილ-განხორციელებული პროექტები და ამაზე

პოზიტიურ უკუკავშირს ღებულობენ გარშემომყოფებისაგან, თვანლათლად ჩანს, როგორ იზრდება მათი თვითშეფასება. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდულმა მუშაკებმა ხელი შევუწყოთ ახალგაზრდებში სტრესმედეგობის უნარების განვითარებას, რათა იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ დაგეგმილი პროექტები ისე არ განხორციელდება, როგორც მათ ჩაიფიქრეს, რაც ხშირად ხდება ხოლმე სათემო პროექტების შემთხვევაში."

მწვანე ლიდერების პროგრამა ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდებში მომავალი დასაქმებისათვის საჭირო უნარების გამომუშავებაში. „დამსაქმებლები ხედავენ, რომ ამ პროგრამაში ჩართულ ახალგაზრდებს გააჩნიათ საკმარისი კომპეტენციები, დაიწყონ და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანონ საკუთარი პროექტები."

**ძირითადი წყაროები:**

ორგანიზაციის ვებ-გვერდი

*https://www.groundwork.org.uk/about-green-leaders/*

დეტალური ანგარიში პროგრამის შესახებ შეგიძლით იხილოთ შემდეგ ბმულზე

**დამატებითი წყარო:**

ახალი ზელანდიის კონცეფცია-მოდელი ჯანსაღი ცხოვრების შესახებ

*https://www.cypnow.co.uk/best%20practice/article/community-programme-grows-the-next-generation-of-green-leaders*

*ფოტო მოძიებულია საიტზე: Children and Young People Now - https://www.cypnow.co.uk/best%20practice/article/community-programme-grows-the-next-generation-of-green-leaders*

# ესტონეთი - ახალგაზრდული საქმინობა ციხეში

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | "Youth Work in Prisons" “ახალგაზრდული საქმინობა ციხეში” |
| ქვეყანა | ესტონეთი |
| ორგანიზაცია | ესტონეთის ახალგაზრდული სააგენტო |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მობილური ახალგაზრდული საქმინობა |
| განხორციელების პერიოდი | ივლისი 2005 - ივნისი 2006 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 15-25 |

## მოკლე აღწერა

ესტონეთის ეროვნულმა სააგენტომ გრძელვადიანი ტრეინინგი ჩაუტარა ციხის თანამშრომლებს, რათა ხელი შეეწყოთ მათთვის ისეთი კომპეტენციების განვთარებაში, რაც დაეხმარებოდათ ციხის ახალგაზრდა პატიმრებთან მუშაობაში.

## პრაქტიკის აღწერა:

2005 წელს ესტონეთის ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა დაეწყო გრძელვადიანი ტრეინინგ-პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ციხის თანამშრომლებთან ჩატარდებოდა ახალგაზრდებთან მუშაობისთვისა და პროექტების მართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განმავითარებელი პროგრამები. პირველ ეტაპზე გადაწყდა ციხეებში მომუშავე პერსონალთან გამოეყენებინათ ევროპის ახალგაზრდული პროგრამა, როგორც ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მათ შემდგომ უკვე ახალგაზრდა პატიმრებთან უნდა ემუშავათ.

ამ პროექტს საფუძველი დაუდო ესტონეთში წარმატებით ჩატარებულმა ახალგაზრდულმა (YOUTH) პროგრამამ, რომელიც მიმართული იყო სპეციალური საჭიროებების მქონე, მათ შორის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მომხმარებელი ახალგაზრდების ჩართულობაზე (inclusion). იყო აგრეთვე პროექტები პრობაციონერებისათვის.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჭირო იყო რისკის ჯგუფებში მყოფ ახალგაზრდებთან მომუშავე კადრების პროფესიული გადამზადება, რათა

ახალგაზრდულ საქმიანობას უკეთესი შედეგები მოეტანა. სწორედ აქ დაიბადა ციხეში მომუშავე კადრებისათვის გრძელვადიანი ტრეინინგის იდეა, სადაც მონაწილეები მიიღებდნენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე საშუალება მიეცემოდათ ახალგაზრდა პატიმრებთან თანამშრომლობაში რეალური პროექტების განხორციელების პროცესში განევითარებინათ საჭირო უნარები.

იქიდან გამომდინარე, რომ არასრულწლოვან პატიმრებს, ბუნებრივია, შეზღუდული აქვთ გარე სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალებები, გადაწყდა, რომ „ახალგაზრდული საინიციატივო პროექტები) **Youth Initiative projects** (action 1.2. of the Youth In Action Programme) აეღოთ, როგორც საფუძველი და მასზე დაეშენებინათ პროგრამა - ახალგაზრდების ჯგუფი ციხეში მყოფ თანატოლებთან დაიწყებდა მუშაობას - მოაწყობდნენ **სადისკუსიო ჯგუფებსა და ვორქშოფებს, გრაფიტის შეჯიბრებებს,** რომლებიც მათთვის მნიშვნელოვან თემებს ასახავდა და ა.შ. მთავარი ამოსავალი წერტილი ის იყო, რომ პროექტები უნდა დაფუძნებოდა ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს, ციხეში მომუშავე პირები კი ხელს შეუწყობდნენ ამ პროცესს კვალიფიციური უკუკავშირის საშუალებით და მათი **პოზიტიური სასწავლო გამოცდილების** მხარდაჭერით, ამით კი, ბუნებრივია, მათი ჯანსაღი თვითშეფასების განვითარებას.
მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარდა რამდენიმე „გასაცნობი ვიზიტი“ ყველა ციხეში, რომელმაც სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო ამ პროგრამაში. ამის შემდეგ, ტრეინინგის მონაწილეებმა (ციხის თანამშრომლებმა) დაიწყეს იმ ახალგაზრდებთან საუბარი-დაინტერესება, ვისშიც ხედავდნენ მომავალ ახალგაზრდულ პროექტებში მონაწილეობის განსაზღვრულ პოტენციალს.

ტრეინინგის პირველ ეტაპზე ძირითადი აქცენტი გაკეთდა მომავალი თანამშრომლობისათვის საფუძველის ჩაყრაზე: გაცნობის სავარჯიშოებზე, ევროპის ახალგაზრდული პროგრამების პრეზენტაციასა და **საპროექტო იდეების გამოკვეთაზე.**

მონაწილეთა მიერ გამოთქმული საჭიროებების გათვალისწინებით მოხდა მეორე ფაზის დაგეგმვა, სადაც ყურადღება გამახვილდა ახალზარდული საქმინობის მეთოდოლოგიაზე, ახალგაზრდებთან მუშაობის სხვადასხვა მეთოდების, მათ შორის, ფორუმ თეატრის, კრეატიული წერისა და თვითგამოხატვის სხვა ტექნიკების ათვისებაზე.
დასკვნითი ეტაპი მიმართული იყო პროექტზე მუშაობის შეჯამებაზე და ასევე მომავალი საამოქმედო ნაბიჯების გაწერაზე.

ამ გრძელვადიანი ტრეინინგის შედეგად, ესტონეთის 4 ციხეში 9 ახალგაზრდული პროექტი განვითარდა და განხორციელდა. პროექტებში ჩართულმა ახალგაზრდებმა ჯანსაღი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები განავითარეს ციხის თანამშრომლებთან, რომლებიც მხარში ედგნენ, ეხმარებოდნენ და გამოხატეს სურვილი, აქტიურად დაეწყოთ ახალი გზების ძიება საკუთარი ცხოვრების სწორი მიმართულებით წარსამართად.

### ძირითადი წყაროები:

Good Practice in the Youth Field - ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობის წახალისება

*https://ec.europa.eu/assets/eac/youth/policy/youth_strategy/documents/youth-participation-brochure_en.pdf*

### დამატებითი წყარო:

*https://www.salto-youth.net/rc/inclusion/archive/archive-resources/inclusiongroups/inclusionoffenders/InclusionOffendersEstonia/*

დეტალური ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე

*https://issuu.com/jevgenisemtsisin/docs/youth-work-in-prisons*

# ესპანეთი - VIDA DIGITAL PROJECT, ციფრული ცხოვრების პროექტი

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Vida Digital Project |
| ქვეყანა | ესპანეთი |
| ორგანიზაცია | IBJOVE (Institut Balear de la Joventut), Govern de les Illes Balears ახალგაზრდობის სააგენტო |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ციფრული ახალგაზრდული საქმინობა |
| განხორციელების პერიოდი | 2016 წლის სექტემბერი - 2018 წლის ივნისი |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 12-16 |

## მოკლე აღწერა

კიბერმენტორების ნეთვორქი არის თანასწორგანმანათლებლობისა და მენტორინგის პროექტი 12-16 წლის ახალგაზრდებისათვის ეპანეთის ბალეარიკის კუნძულებზე და შეადგენს სამთავრობო პროგრამის "Vida digital project" (ციფრული ცხოვრების პროექტი) ნაწილს. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება ინტერნეტში მათი შესაძლო აქტიურობის შესაძლო შედეგების შესახებ. პროექტი ასევე მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ნეთვორქის შექმნას, რომელსაც ექნებოდა ციფრული მოქალაქეობის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა და თანასწორგანმანათლებლობის პროგრამაში ჩართულობის სურვილი.

## პრაქტიკის აღწერა:

ბალეარიკის კუნძულების სკოლებში მოხდა მსურველი უფროსკლასელი (15-16 წლის) მოხალისეების გადარჩევა მათი ლიდერული უნარ-ჩვევებისა და სოციალური აქტიურობის ნიშნით.

## 1

### პირველ ეტაპზე

მათ გაიარეს ტრეინინგი და დისკუსიების ციკლი ინტერნეტში ქცევისა და ციფრული ეტიკეტის განვითარება-გავრცელების შესახებ. ეს ტრეინინგი წარმოადგენდა მეტა-სასწავლო გამოცდილებას (მეტა-სწავლება არის მეტაცნობიერების ერთ-ერთი განშტოება, სადაც ადამიანი აკვირდება, უღრმავდება, აცნობიერებს საკუთრი სწავლისა და ზოგადად სწავლის პროცესს), რადგან მონაწილეები ამავე ტრეინინგში ეუფლებოდნენ თანატოლებთან ამ საკითხის მიტანის მეთოდებსა და ხერხებს.

## 2

### მეორე ეტაპზე

მეორე ეტაპზე (2 დღის მანძილზე) მოხდა ბალეარიკის კუნძულების ყველა სკოლის წარმომდგენელთან შეხვედრა (5 სკოლა და 60 კიბერმენტორი). მიზანი იყო პროექტში ჩართული მოსწავლეებისა და მასწავლებლების გაცნობა-დაახლოება და მათში ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარება.




## 3

### მესამე ეტაპზე

კიბერმენტორების მომზადების მესამე ეტაპზე ჩატარდა ვორქშოფი 12-14 წლის მოსწავლეებისათვის. თოთოეულ ჯგუფთან მუშაობდა ორი კიბერმენტორი, რომლებიც ასრულებდნენ ქოუჩებისა და მენტორების როლს და უხსნიდნენ მონაწილებს მათ როლებს - უფლებებსა და პასუხისმგებლობებს.

ამ ტრეინინგის შემდეგ და მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში, კიბერმენტორები თავის სამიზნე ჯგუფებში ავრცელებდნენ ინფორმაციას, რჩევებს, მინიშნებებსა და ვიდოებს (მაგალითად, WhatsApp-ის მეშვეობით) ციფრული მოქალაქეობის კონცეფციისა და უნარ-ჩვევების შესახებ. თანასწორთა მენტორინგი და განათლება ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდოლოგიაა ინტერნეტში ქცევის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის მისაღებად. ახალგაზრდები დღეს ციფრულ გარემოში ცხოვრობენ და თავად არიან თანატოლებისათვის ყველაზე სანდო წყაროები, რადგან ამ საკითხში საკმაოდ დიდი და ღრმა ცოდნა აქვთ.

## მიღწევები:

ეს სოციალური და სათემო პროექტია, რომელშიც დიდი რაოდენობით ადამიანი მონაწილეობდა. იმისათვის, რომ სასურველი შედეგები მიეღოთ, საჭირო იყო მასში ჩართული, სრულიად განსხვავებული აქტორების - სკოლის ადმინისტრაციის, მშობლების, საჯარო ინსტიტუციებისა და, რა თქმა უნდა, მოსწავლეების მჭიდრო თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია იმისი გათვალისწინება, რომ ყველა სკოლა განსხვავებულია და მისთვის დამახასიათებელი საჭიროებები გააჩნია, შესაბამისად, საჭირო იყო პროექტის ადაპტირება თითოეული სკოლის საჭიროების შესაბამისად.

ამ პროექტის მთავარი მიღწევა იყო რეგიონში ციფრული მოქალაქეობის კონცეფციის პოპულარიზაცია, ინფორმაციული განათლების დონის ამაღლება, ნაკლები ბულინგი სკოლებში, ინტერნეტის რისკებისა და პირადი უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ციფრული მოქალაქეობის შესახებ ცოდნის მქონე ახალგაზრდების ქსელის შექმნა და ციფრული მოქალაქეობის თემაზე მომზადებული, სხვადასხვა სკოლაში მომუშავე მასწავლებლების გაერთიანება.

2016 წლიდან 2018 წლამდე მომზადდა 10 სკოლის 300-მდე კიბერმენტორი

## ძირითადი წყაროები:

პროგრამის სახალისო ინსტაგრამ-გვერდი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე

*https://www.instagram.com/vidadigitalmessegura/?hl=en*

პროგრამის ვებ-გვერდი

*http://vidadigital.eu/cibermentors-i-cibermentores/*

*ფოტო მოძიებულია პროგრამის ვებ-გვერდიდან http://vidadigital.eu/cibermentors-i-cibermentores/*

# იაპონია - ვირტუალური ბანაკი

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | ვირტუალური ბანაკი |
| ქვეყანა | იაპონია |
| ორგანიზაცია | Academy Camp |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმინობა |
| განხორციელების პერიოდი | 2012 - 2021 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | სკოლის მოსწავლეები 7 წლიდან 18 წლამდე |

## მოკლე აღწერა

იაპონიის ქალაქ ფუკუშიმაში 2011 წლის მარტს მომხდარი ბირთვული კატასტროფის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა რადიოაქტიური ნივთიერებების ზეგავლენის საფრთხის წინაშე დადგა. მშობლებმა, ფაქტობრივად, აუკრძალეს შვილებს ღია სივრცეში თამაში და ურთიერთობა, ეს კი, ბუნებრივია, უარყოფითად აისახა ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკურ, ემოციურ და მენტალურ მდგომარეობაზე. ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს შეექმნათ უნიკალური საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ბავშვები უსაფრთხოდ და აზრიანად გაატარებდნენ დროს. ასე დაიბადა მხიარულების სკოლა ფუკოშიმაში და მისი ვირტუალური ბანაკები.

*ფოტო მოძიებულია Globalgiving.org საიტზე https://www.globalgiving.org/projects/academy-camp/reports/#menu*

## პრაქტიკის აღწერა:

ორგანიზაცია „აკადემიის ბანაკი“ დაიწყო, როგორც საბავშვო ბანაკების სერია ფუკოშიმის პრეფექტურაში, რომელსაც განსაკუთრებული ზიანი მიადგა 2011 წლის აღმოსავლეთ იაპონიის მიწისძვრის/ცუნამის და TEPCO ფოკოშიმა დაიიჩი ბირთვული კატასტროფის შედეგად.

პროგრამის მომზადება-ჩატარებაში ჩართული არიან არა მხოლოდ ახალგაზრდული მუშაკები, არამედ ფუკოშიმას მოქალაქეების ფართო სპექტრი - უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების მოხალისეები, საჯარო და ბიზნეს სექტორიდან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ატარებს ბანაკებს როგორც რეალურ, ასევე ვირტუალურ სივრცეში, COVID-19 პანდემიის პირობებში განსაკუთრებით საინტერესოა დისტანციური ახალგაზრდული საქმიანობის გამოცდილების გაზიარება, ამიტომ სწორედ ამ მიმართულებით გთავაზობთ ორგანიზაციის გამოცდილებას.

### პროგრამის შედგენისას და ჩატარებისას რამდენიმე ფაქტორია გათვალისწინებული:

- სხვადასხვა ასაკის მოსწავლეების შერეული ჯგუფები - ორგანიზატორები თვლიან, რომ შერეულ ჯგუფებში ბავშვები, მოზარდები, ახალგაზრდები ერთმანეთს ამდიდრებენ და უკეთ სწავლობენ.
- ჰოლისტიური მიდგომა - პროგრამაში ჩადებულია როგორც ფიზიკური გაჯანსაღების, ასევე მენტალური, ემოციური, სულიერი, სოციალური უნარების განმავითარებელი აქტივობები.
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ საგანმანათლებლო-გამაჯანსაღებელი პროგრამა მიმდინარეობდეს ხალისიან გარემოში.
- პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ბავშვებში და მოზარდებში სტრესმედეგობის განვითარება, ამას კი სხვადასხვა სიმულაციური სიტუაციების გათამაშებით ახერხებენ.
- ბანაკები, როგორც წესი არის 1-დან 5 დღემდე ხანგრძლიობის.
- დიდი ყურადღება ეთმობა ინოვაციური თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას, მათ შორის ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებს (მათ შორის VR სათვალეებსა და მუზარადებს)
- მონაწილეები ქმნიან წარმოსახვით სამყაროს და სწავლობენ ამ სამყაროების მართვას, მაგალითად, პროგრამა Minecraft-ის საშუალებით.
- პროგრამის დევიზია - „იყავი სამყაროს შემოქმედი და არა სტუმარი“ (Be a MAKER, not a VISITOR of the world.“

## აი, ერთ-ერთი ბანაკის პროგრამის მოკლე აღწერილობა:

მთვარეზე საიდუმლო ბაზის ასაშენებლად შეკრებილ გუნდს კონსულტაციას უწევს დარგის ექსპერტი, პროფესორი აბე. კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი (ბანაკის მონაწილეები) ავატარების „სხეულში გადადიან“, იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილს კომერციულ რაკეტებში და მიემგზავრებიან მთვარისაკენ. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ვირტუალურ რეალობაში ხდება. მგზავრობის პროცესში ეკიპაჟი ინტერესით ისმენს პროფესორ აბეს ინფორმაციას პლანეტა დედამიწის და მისი ცივილიზაციის შესახებ.

ყოველი ახალი ბანაკი ეფუძნება წინა ბანაკის მონაწილეების მიერ შექმნილი 3D ნახატებისგან კონსტრუირებულ ვირტუალური რეალობის სამყაროს. ბავშვებთან ერთად ბანაკში მოწვეულები არიან მშობლებიც და ვირტუალური რეალობის ცნობილი იაპონელი მხატვარი KAHUA, რომელიც 3D ნახატების შექმნის ტექნიკას უხსნის მონაწილეებს. ვირტუალური რეალობის წყალობით, მონაწილეებს სრულიად არარეალური სენსორული შეგრძნებები უჩნდებათ.

ორგანიზატორები თვლიან, რომ საინტერესო პროგრამას ჩაუყარეს საფუძველი და უსაზღვრო შესაძლებლობები იქმნება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, შექმნან და დატესტონ საკუთარი, ახალი, განსხვავებული, უფრო მდგრადი და უფრო ეთიკური ცივილიზაციები.

### ძირითადი წყაროები:

ორგანიზაციის ვებ-გვერდი

*https://academy-camp.org/*

### დამატებითი წყარო:

Facebook გვერდი

*https://www.facebook.com/academy.camp.en*

2019-2020 წლის ანგარიში

*https://issuu.com/academy-camp/docs/acamp2020-report-en*

# ირლანდია - ვიდეო თამაშები ახალგაზრდულ საქმიანობაში

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | ვიდეო თამაშები ახალგაზრდულ საქმიანობაში |
| ქვეყანა | ირლანდია |
| ორგანიზაცია | Carlow Regional Youth Service<br>ქერლოუს ახალგაზრდული მომსახურების ცენტრი |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ციფრული და მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2019 წლიდან დღემდე |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | მოზარდები და სოციალურად იზოლირებული ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

ირლანდიის ქერლოუს ახალგაზრდული რეგიონული მომსახურების ცენტრმა ახალგაზრდულ საქმიანობაში ვიდეო თამაშების გამოყენება დაიწყო. პრაქტიკა ეფექტიანი აღმოჩნდა და მიჩნეულია, როგორც კარგი მაგალითი ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობაში. ცენტრი მიზნობრივად იყენებს ვიდეო თამაშების პოზიტიურ ასპექტებს ახალგაზრდულ საქმიანობაში, შესაბამისად, ვიდეო თამაშები არის ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც ახერხებენ ახალგაზრდების მოზიდვას, რათა ხელი შეუწყონ ახალგაზრდებს ახალი უნარების განვითარებასა და შემოქმედებითობის უკეთ გამოხატვაში. პროექტში ჩართული ახალგაზრდების უმეტესობას აქვს მძიმე სოციალური პირობები და ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ახალგაზრდულ სერვისებზე. სწორედ ამიტომ, სოციალურად გარიყულ ახალგაზრდებთან სამუშაოდ, ვიდეო თამაშები აღმოჩნდა ეფექტიანი მეთოდი.

## პრაქტიკის აღწერა:

როგორც ცნობილია, ბევრი ახალგაზრდა გადაჭარბებულად თამაშობს ვიდეო თამაშებს. ვიდეო თამაშებზე დამოკიდებულება შესაძლოა სხვა პრობლემებით იყოს გამოწვეული, როგორიც არის ტრავმა, სოციალური გარიყვა ან რაიმე სპეციალური საჭიროება. ასეთ შემთხვევებში, ვიდეო თამაშების აქტიური მომხმარებელი ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებიან სხვა აქტივობებით, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ჩართვას ახალგაზრდულ საქმიანობაში ახალგაზრდების საჭიროებებისა და განსაკუთრებული ინტერესების გათვალისწინებით. ახალგაზრდების ამ კონკრეტული კატეგორიისთვის ვიდეო თამაშები აღმოჩნდა ინტერესის ძირითადი ობიექტი.

ქერლოუს ახალგაზრდულმა რეგიონული მომსახურების ცენტრმა მოამზადა აქტივობის დიზაინი, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობენ ახალგაზრდული მუშაკები. სესიის დიზაინი მოიცავს:

თავისუფალი დრო სასურველი ვიდეო თამაშისათვის

დისკუსია ჯგუფში

აქტივობა მთლიანი ჯგუფისათვის

თავისუფალი თამაშის დრო

შესვენება/სადილი

თავისუფალი თამაშის დრო

ჯგუფური დისკუსია და შეფასება

რეფლექსია და დასასრული

ამასთანავე, ყოველ კვირას იგეგმება თემატური აქტივობები, როგორიცაა, მაგალითად, ვიდეოს რედაქტირება, ღონისძიებების ორგანიზება ან საკონსულტაციო სესიები სხვადასხვა თემაზე.

ცენტრს გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა - კომპიუტერები, მართვის პულტები და სათამაშო კონსოლები. აღჭურვილობა შეძენილია მეორად პროდუქტად ან მოპოვებულია დონაციის გზით. ყოველ კვირას იმართება ჯგუფური შეფასებისა და რეფლექსიის სესია, ახალგაზრდები საუბრობენ, რა მოეწონათ იმ კვირაში, რის შეცვლას ისურვებდნენ შემდეგი კვირისათვის და ერთმანეთს წამახალისებელ კომენტარებს უზიარებენ. ახალგაზრდებს ასევე შეუძლიათ თავად დააორგანიზონ ღონისძიება ახალგაზრდული მუშაკის დახმარებით, ეს შესაძლებელია იყოს რომელიმე ვიდეო თამაშის ღია ტურნირი ან რაიმე აქტივობა. სხვადასხვა პერიოდში, პროექტის მონაწილეები შეურთდნენ და იმუშავეს სხვა პროექტებთან ერთადაც, მაგალითად, "Game-Fest", რაც მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის მოტივაციის გასაზრდელად.

ვიდეო თამაშების გამოყენება ახალგაზრდულ საქმიანობაში აღმოჩნდა ეფექტიანი გზა, სოციალურად გარიყული ახალგაზრდებისათვის გაჩენილიყო სივრცე სხვებთან, განსაკუთრებით კი საერთო ინტერესის მქონე ახალგაზრდებთან ურთიერთობისთვის. ეს მათ დაეხმარა პირადი პრობლემების დაძლევასა და საზოგადოებაში უკეთ რეალიზებაში.

## ძირითადი წყაროები:

ციფრული ახალგაზრდული მუშაობის პლატფორმა digitalyouthwork.eu

*https://www.digitalyouthwork.eu/?material=gaming-as-youth-work-en*

## დამატებითი წყარო:

*https://www.youth.ie/articles/good-practice-gaming-as-youth-work/*

პუბლიკაცია: "თამაშების გამოყენება ახალგაზრდულ საქმიანობაში" " New Toolkit: Using Games in Youth Work" მომზადებულია ირლანდიის ეროვნული ახალგაზრდული საბჭოს მიერ, 2020

*https://www.youth.ie/articles/new-toolkit-using-games-in-youth-work/*

ვიდეოს "Gaming as Youth Work" სანახავად დაასკანერეთ QR კოდი ან გადადით ბმულზე:

*https://www.youtube.com/watch?v=3vj6SwWkOh8*

# ისრაელი - KREMBO WINGS, კრემბოს ფრთები

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Krembo Wings |
| ქვეყანა | ისრაელი |
| ორგანიზაცია | Krembo Wings |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ახალგაზრდული ცენტრის ახალგზრდული საქმიანობა, საველე ახალგაზრდული საქმინობა |
| განხორციელების პერიოდი | 2002 - 2021 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 7-21 |

## მოკლე აღწერა

Krembo Wings – „კრემბოს ფრთები“ არის ინკლუზიური სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის შექმნილი ახალგაზრდული მოძრაობა ისრაელში. „კრემბოს ფრთების“ მთავარი მიზანია საშუალება მისცეს ნებისმიერი სახის მოტორული, კოგნიტიური ან სენსორული დარღვევის მქონე ბავშვს გახდეს სახალისო, საინტერესო სოციალური აქტივობების ნაწილი, სადაც მონაწილეობენ როგორც შეზღუდული, ასევე არაშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და ახალგაზრდები და ამით მისცენ მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის საშუალება. აქტივობები შეიცავს სხვადასხვა თამაშს, ხელოვნებასა და კრაფტებს, მუსიკასა და სხვ. შეხვედრები ეხმარება მონაწილეებს, გააფართოვონ საკუთარი სოციალური წრე და გაიუმჯობესონ თვითშეფასება.

*ფოტო მოძიებულია ორგანიზაციის მთავარი გვერდიდან https://www.krembo.org.il/en/מ-התרשרת/*

## პრაქტიკის აღწერა:

ყველა სოციალურ აქტივობას, რომლიც ისრაელის მოზარდებსა და ახალგაზრდებს მოიცავს ერთი საერთო მახასიათებელი აქვს - თანამედროვე ისრაელის საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ ახალგაზრდები პასუხისმგებლობას აიღებენ იმაზე, როგორია მათი ქვეყანა დღეს და როგორი უნდა იყოს მომავალში.

რთულია გამოყო ერთი ქეისი ისრაელის ახალგაზრდული საქმიანობიდან - ბევრი საინტერესო პროგრამა და ორგანიზაცია მუშაობს, მთავარი მახასიათებელი კი ისაა, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ძალიან მაღალია ახალგაზრდების ჩართულობა და საქმიანობის არეალი.

*ფოტო მოძიებულია ორგანიზაციის მთავარი გვერდიდან https://www.krembo.org.il/en/מ-התרשקרמ/*

"Knafayim Shel Krembo", ინგლისურად "Krembo Wings" (კრემბოს ფრთები) არის ისრაელის ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც 2002 წელს 16 წლის გოგომ, ადი ალშულერმა დააარსა. ორგანიზაციის მიზანია სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს გაუწიოს დახმარება. ორგანიზაციას 1000-ზე მეტი უფროსკლასელი მოხალისე ჰყავს, რომელიც კვირაში ერთხელ, ქვეყნის 47 სხვადასხვა რეგიონში, 5000-მდე სპეციალური საჭიროების 7-დან 21 წლამდე ახალგაზრდას ხვდება და სხვადასხვა ტიპის აქტივობას სთავაზობს.

„როცა მონაწილეები პირველად მოდიან შეხვედრაზე, ხშირად კითხულობენ ხოლმე, - კრემბო სად არისო," - ყვება ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. კრემბო ისრაელში პოპულარული ტკბილეულია (შოკოლადში ამოვლებული ზეფირი) და თითოეული მათგანი ხელით არის შეფუთული. „ჩვენს ორგანიზაციაში მოსულ თითოეულ ახალგაზრდას სწორედ ასე, ინდივიდუალურად „ვფუთავთ" სიყვარულში, ზრუნვასა და რწმენაში, რომ თითოეულ მათგანს აქვს ფრთები და თითოეულ მათგანს შეუძლია ფრენა."

კრემბოს ფრთების უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივობების ლიდერები არიან არა სპეციალურად მომზადებული ზრდასრული პროფესიონალები, არამედ 14-18 წლის ისრაელელი ახალგაზრდები. ისინი გეგმავენ და ისინი უძღვებიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, დამოუკიდებლად აწარმოებენ ორგანიზაციის მენეჯმენტს, თვითონ აკეთებენ მოხალისეების რეკრუტინგს, მომზადებასა და კოორდინაციას, თვითონ ზრუნავენ, რომ ყველა აქტივობა მაქსიმალური ხარისხით და უპრობლემოდ ჩატარდეს.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 2002 წელს, 16 წლის ადიმ გაიცნო 9 წლის კფირი, რომელსაც ცერებრალური დამბლა ჰქონდა და დედამისი სახლში დამხმარეს ეძებდა. ადი, რომელმაც მოხალისეობრივად დაიწყო კფერთან ურთიერთობა, მალე ოჯახის წევრი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ კფირს არ შეეძლო

*ფოტო მოძიებულია ორგანიზაციის მთავარი გვერდიდან: https://www.krembo.org.il/en/מן-התרשרת/*

ვერბალური კომუნიკაცია, მალე მოახერხეს კომუნიკაციის საკუთარი სტილის შემუშავება და როგორც მომავალში ადი აღნიშნავდა, პირველივე დღეებიდან მიხვდა, რომ ყველაზე მეტად რაც აკლდა კფერს, იყო მეგობრები. და სწორედ მაშინ გადაწყვიტა ადიმ კფერის სკოლის მოსწავლეები შეეკრიბა და მათთვის აქტივობები ჩაეტარებინა. ადიმ კომუნიკაცი დაამყარა კფერის კლასელების მშობლებთან, დაგეგმა აქტივობები და  დაორგანიზა ბავშვების ტრანსპორტირება, აი ასე დაიბადა „კრემბოს ფრთების“ პირველი ფილიალი ისრაელის ქალაქ ჰოდ ჰასარონში. ამ უცნაური გოგოს ამბავი მალე მოედო ქალაქს. სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მშობლები, განმანათლებლები, მეგობრები მის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სურვილს გამოთქვამდნენ.

აქ და ასე დაედო სათავე ამ უზარმაზარ მოძრაობას ისრაელში. 2009 წელს ალშულერს და „კრემბოს ფრთებს“ მოხალისეობრივი საქმიანობისათვის პრეზიდენტის ჯილდო გადაეცათ. 2010 წელს ისრაელის ჟურნალ მაარივში ორგანიზაციას „ათწლეულის უმნიშვნელოვანესი სოციალური მოძრაობა“ უწოდეს. 2014 წელს ადი TIME ჟურნალის მიერ მსოფლიოს 6 მომავალ ლიდერს შორის დასახელდა და გაეროს ტრიბუნიდან ისაუბრა სოციალური ენტერპრენერობის შესახებ.

სანამ „კრემბოს ფრთებში“ მოვიდოდნენ, მოხალისე უფროსკლასელების უმეტესობას არასდროს ჰქონია შეხება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან და ახალგაზრდებთან. არიან ბავშვები, რომელთაც საუბარი არ შეუძლიათ, ზოგს სხეულის მოძრაობების შეზღუდულობა აქვს, ზოგი სავარძელში ზის. მოხალისეები სწავლობენ, როგორ გაუგონ, როგორ იურთიერთონ სპეციალური საჭიროების მქონე პარტნიორთან.  ამისათვის ყოველ კვირა მიდიან მათთან ოჯახში, ურთიერთობენ მშობლებთან და ერთად ატარებენ დროს.

გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ ამ ახალგაზრდების უმეტესობა თავს მოხალისედ არც კი მიიჩნევს, ისინი „კრემბოს ფრთებში“ საკუთარ თავს ხედავენ, როგორც ნებისმიერი სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდის თანასწორს.

ადი, რომელიც დღეს „კრემბოს ფრთების“ პრეზიდენტია, ინტერვიუში ამბობს: „როცა ადამიანები მეკითხებიან, რატომ დავაარსე კრემბოს ფრთები, ვპასუხობ: რათა კფირს და მისნაირ ბავშვებსა და ახალგარდებს ჰქონდეთ სოციალური ცხოვრება, რათა არ იყვნენ მარტო, რათა მათაც ისეთივე შესაძლბელობები ჰქონდეთ, როგორც ყველა დანარჩენს. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მათთვის, ეს ჩემთვისაც

არის, ჩვენთვისაც, რომ ჩვენც არ ვიყოთ მარტონი."

„დასაწყისში უბრალოდ 16 წლის მოზარდები ვიყავით. არანაირი ხედვა ან სტრატეგია ან ბიზნეს გეგმა არ გვქონია," - იხსენებს ადი.
დღეს ეს უზარმაზარი ორგანიზაცია დგას იმ იდეაზე, რომ ახალგაზრდობამ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ცხოვრობს.

„გრძნობ, რომ რაღაც დიდის და მნიშვნელოვანის ნაწილი ხარ და ეს გეხმარება, უფრო სწრაფად გაიზარდო, - ამბობს შირ ლაზაროვიტსი, კრემბოს ფრთების ერთ-ერთი ფილიალის ყოფილი ხელმძღვანელი. „სწავლობ მენეჯმენტს და რთულ სიტუაციებთან გამკლავებას.ბევრი ზრდასრულისაგან გამიგონია, რომ 30 წელზე მეტის იყვნენ, როდესაც პირველად აღმოჩნდნენ მენეჯერულ პოზიციაზე და სხვა ადამიანების ხელმძღვანელობა მოუწიათ."

ასე რომ კრემბოს ფრთები ეხმარება არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ახალგაზრდებსა და, შესაბამისად, მათ ოჯახებს, არამედ იმ მოხალისეებსაც, ვინც თავის დროს და ენერგიას დებს ამ საქმეში. საბოლოო ჯამში კი „კრემბოს ფრთები" ხელს უწყობს ჯანსაღი, თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებას ისრაელში.

**ძირითადი წყაროები:**

*https://www.israel21c.org/israeli-youth-take-responsibility-for-shaping-the-future/*

**დამატებითი წყარო:**

Krembo wings

*https://www.krembo.org.il/en/%d7%9e%d7%9f-%d7%94%d7%aa%d7%a7%d7%a9%d7%95%d7%a8%d7%aa/*

*https://www.calcalist.co.il/local/articles/1,7340,L-3744106,00.html*

ვიდეოები კრემბოს ფრთების შესახებ შგიძლიათ იხილოთ ამ ბმულებზე

*https://www.youtube.com/watch?v=kLWJZ1twF24*
*https://www.youtube.com/watch?v=tA6EsWnYqYU*

# იტალია - CAMINERAS, მოგზაურობა შენკენ

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Camineras – Journey Towards You/მოგზაურობა შენკენ |
| ქვეყანა | იტალია |
| ორგანიზაცია | Centro Eurodesk Regione Sardegna<br>Eurodesk-ის რეგიონული ცენტრი სარდინიაში<br>და სარდინიის რეგიონი |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მობილური და მოზიდვაზე ორიენტირებული<br>ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2016 წლიდან |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 17-19 წელი<br>ახალგაზრდებთან ერთად მშობლები, ადგილობრივი<br>მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან მომუშავე<br>ორგანოები და საჯარო მოხელეები, ადგილობრივი<br>ახალგაზრდული მუშაკები |

## მოკლე აღწერა

იმისათვის, რომ უფრო მეტი ინფორმაცია მიეღოთ მოქალაქეების საჭიროებების შესახებ და მათთვის პირადად მოესმინათ, Camineras ინიციატივის ფარგლებში, სარდინიის რეგიონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მობილურ ფურგონში გადაინაცვლა. ფურგონი გადაადგილდება სარდინიის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი ყველაზე იზოლირებულ ადგილებში, რათა საჯარო მომსახურება რაც შეიძლება ახლოს მიიტანოს მოსახლეობასთან. 2016 წლიდან Camineras-ს შეუერთდა Eurodesk - ევროპისა და ნაციონალური საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი ახალგაზრდებისათვის.

## პრაქტიკის აღწერა:

საინფორმაციო ცენტრის გადატანა მობილურ ფურგონში მიზნად ისახავდა ინფორმაციის მიტანას ყველაზე მეტად იზილორებულ, როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე, ახალგაზრდებთან სარდინიის რეგიონში. Eurodesk-ის კონსულტანტები გადაადგილდებოდნენ Camineras-ს ფურგონთან ერთად და სარდინიის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მართავდნენ საინფორმაციო კამპანიებს გაცვლითი პროგრამების შესახებ. სხვადასხვა სოფლებში მოგზაურობის დროს, Eurodesk-ის ინიციატივით შეიქმნა ქსელი, რომელიც აერთიანებს ადგილობრივად მცხოვრებ ახალგაზრდებს, მშობლებს, სკოლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ქსელის წევრები მონაწილეობენ ახალგაზრდული მუშაკების მიერ დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში.

*ფოტო მოპოვებულია Camineras ფეისბუქ გვერდზე: https://www.facebook.com/CAMINERAS.RAS/photos/631766703840056*

Camineras და Eurodesk-ის ერთობლივი ინიციატივის მიზანია, არა მარტო ფიზიკური დისტანციის შემცირება საჯარო სერვისებსა და მოქალაქეებს შორის ახალაზრდების ჩათვლით, არამედ კომუნიკაციის გაუმჯობესება და მათი საჭიროებების უფრო მეტად გათვალისწინება. ამ მიზნის მისაღწევად, პრაქტიკის ფარგლებში რამდენიმე ინსტრუმენტი იყო გამოყენებული, მათ შორის:

- შეფასების ფორმები;
- რჩევების კუთხე - ფურგონთან მოწყობილი სივრცე, სადაც შესაძლებელია რჩევების გაზიარება სხვადასხვა საჯარო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
- სატელეფონო კაბინა, რომელიც განთავსებულია ფურგონთან ახლოს. კაბინა განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს აუდიო ჩანაწერის გაკეთება მოლოდინებთან და საჭიროებებთან დაკავშირებით, ასევე კონკრეტული შეთავაზების - საპროექტო იდეის გაზიარება;

მნიშვნელოვანია, რომ მობილური ფურგონი, როგორც საზოგადოებასთან ურთიერობის სამსახურის მოძრავი ოფისი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას. ამაზე მიუთითებს Eurodesk-ის ჩართვა ინიციატივაში და სხვადასხვა შესაძლებლობის შეთავაზება, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ ან ნაკლებად მიუწვდებათ ხელი აღნიშნულ შესაძლებლობებზე.

### ძირითადი წყაროები:

EYCA, ERYICA, Eurodesk "A collection of best practices from the main European youth information and mobility networks on enhancing youth service promotion and outreach „Engage. Inform. Empower." (2019)

*https://www.eryica.org/news/2019/12/2/engage-inform-empower-good-practice-booklet-from-the-3-networks*

### დამატებითი წყარო:

"Progetto Camineras, la Regione

*http://www.regione.sardegna.it/j/v/2609?s=328654&v=2&c=12458&nc=1&qr=1&qp=2&vd=2&fa=1&t=3*
*[ბოღოს ნანახია 6 აგვისტო, 2021]*

# ლიეტუვა - I AM 20-SOMETHING, ოც-და-რაღაც წლის ვარ

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | I am 20-something - “ოც-და-რაღაც წლის ვარ” |
| ქვეყანა | ლიეტუვა |
| ორგანიზაცია | ლიეტუვას ახალგაზრდული საბჭო |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | საინფორმაციო ახალგარდული საქმინობა |
| განხორციელების პერიოდი | 2015 წლის იანვარი - 2017 წლის ივნისი |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 20-30 წლის მონაწილეები, მსმენელთა დიდი სპექტრი |

## მოკლე აღწერა

პროექტი “Man 20-keli” (“I’m a 20-something” „ოც-და-რაღაც წლის ვარ..“) იყო ლიეტუვას ახალგაზრდული საბჭოს მიერ დაფინანსებული რადიო გადაცემა, რომელიც ქვეყნის ახალგაზრდობის საჭიროებების შესახებ ამზადებდა გადაცემებს ორწელიწადნახევრის განმავლობაში და ამით უწყობდა ხელს ქვეყნის ახალგაზრდების მოსაზრებებისა და პოზიციების დაფიქსირება-გაჟღერებას მილენიელების თაობის საჭიროებების შესახებ.

## პრაქტიკის აღწერა:

მილენიელების თაობის შესახებ ბოლო წლებში მომრავლდა კვლევები, რომელიც თვლის, რომ ამ თაობას ახასიათებს ნარცისიზმი, უპასუხისმგებლობა და ტექნოლოგების გაფეტიშება. ამ იმიჯის გამყარებას ხელი შეუწყო მედიაში წინა თაობების წარმამადგენლების მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა. ლიეტუვური მედიაც არ ყოფილა გამონაკლისი. ახალგაზრდების საჭიროებების ჩაღრმავებული ანალიზი და მათი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების მხედველობაში მიღება, ფაქტობრივად, არ ხდებოდა.

პროექტი „“Man 20-keli” (“I’m a 20-something” „ოც-და-რაღაც წლის ვარ..“) დაარსა ლიეტუველმა ჟურნალისტმა, კაროლის ვიშნიაუსკასმა, თავად მილენიელმა და მიზანდ დაისახა ამ სიტუაციის შეცვლა. გადაცემა გადიოდა ლიეტუვაში პოპულარული, წამყვანი საინფორმაციო რადიო “Žinių radijas” არხზე და ძალი-

ან სწრაფად გადაიქცა იმ პლატფორმად, სადაც ლიეტუვის ახალი თაობის ხელოვნების წარმომადგენლები, აქტივისტები და მეცნიერები საუბრობდნენ საკუთარი ცხოვრების შესახებ და მსმენელს უზიარებდნენ საკუთარ მოსაზრებებს საზოგადოებისა და მისი პრობლემების შესახებ.

ყოველკვირეულ გადაცემაში მოწვეულები იყვნენ 20-დან 30-წლამდე ახალგაზრდა სტუმრები - იუმორისტები და კომედიანტები, მთვარეზე ბოსტენულის მოყვანის პროექტზე, NASA-ს პროგრამაში ჩართული მეცნიერი, New York Times-ში ილუსტრატორად მომუშავე მხატვარი, ახალგაზრდა ლიტველი ექიმი, რომელიც ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში სწავლობს, სკეიტბორდისტები, დიზაინერები, მოდელები, ვიდეო თამაშების შემქმნელები - რადიო-პროექტის ეთერი ღია იყო ახალგაზრდობის ნებისმიერი ფენისა და ტიპის წარმომადგენელისათვის. "Žinių radijas"-ს მსმენელებს გადაცემა სთავაზობდა ახალგაზრდა ადამიანების ცხოვრებისა და შესაძლებლობების მიმოხილვას. მშობლები უსმენდნენ გადაცემას, რათა უკეთ გაეგოთ საკუთარი შვილების სატკივარი, ოცნებები, გეგმები, მსოფლმხედველობა. მილენიელები უსმენდნენ, რათა გაეზიარებინათ თანატოლების გამოცდილება და მაგალითი გადაეღოთ მათგან.

ბევრი სტუმარი საზღვარგარეთ მცხოვრები ლიეტუველი იყო. ეს ის პირველი თაობაა, რომელსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საშუალება მიეცა, თავისუფლად ემოგზაურა მსოფლიოს გარშემო და თუ სურვილი გაუჩნდებოდა სხვა ქვეყანაში დასახლებულიყო, ესწავლა ან ემუშავა. ამ თაობისათვის ინგლისური მეორე ენა გახდა. იმის ნაცვლად, რომ კავშირი გაეწყვიტა მათთან, ვინც ემოგრაციაში წავიდა, რადიო-პროგრამა "Man 20-keli" საშუალებას აძლევდა მათ, საკუთარი ისტორია და ქეისები გაეზიარებინათ თანამემამულეებისათვის, რათა ახალგაზრდა ლიეტუველებს დაენახათ კარიერული შესაძლებლობები და ახალი გზები.

ამ პროექტის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ არსებობის მანძილზე მასში 100-მა სტუმარმა მიიღო მონაწილეობა და 100,000-ზე მეტ მსმენელს გადასწვდა. პროექტი დასრულდა 2017 წლის ზაფხულში, თუმცა რადიო "Žinių radijas"-ს არხზე ორი მაგვარი გადაცემა აღმოცენდა: ერთს მასპინძლობს ქალთა უფლებების აქტივისტი, ბიატა ტიშკევიჩი და მეორეს - ახალგაზრდა ემიგრანტი, ენტერპრენერი ქალი, რასა ჯუსიონიტე, რომელიც ვილნიუსში დაბრუნდა რადიო-შოუს გასამართად. თავის დროზე ორივენი "Man 20-keli"-ის გადაცემის მსმენელები იყვნენ.

გადაცემამ ლიეტუვის მედია-წარმომადგენლების მსოფლმხედველობაზეც მოახდინა ზეგავლენა და დაარწმუნა ისინი, რომ მილენიელების გასაგებად უკეთესია, რომ თავად მათ მოვუსმინოთ, თავად მათ ისაუბრონ საკუთარ თავზე და არა სხვამ.

**ძირითადი წყაროები:**

Good Practice in Youth Information

*https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5bd9654ccd83666261ba9e53/1540973907525/Sheryica_2018_online+%281%29.pdf*

**დამატებითი წყარო:**

რადიო არხის მთავარი გვერდი

*https://www.ziniuradijas.lt/laidos/man-20-keli*

# მალტა - ახალგაზრდული სოფელი

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Youth Village ახალგაზრდული სოფელი |
| ქვეყანა | მალტა |
| ორგანიზაცია | Aġenzija Żgħażagħ (Malta's National Youth Agency)<br>მალტის ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტო |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2015 წლიდან |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 16-35 წელი<br>მოზარდები და ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

"ახალგაზრდული სოფელი" შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდებისათვის ალტერნატიული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სადაც მათ შეეძლებოდათ იდეების შემუშავება და განხორციელება. პრაქტიკა 2015 წელს დაიწყო, როდესაც მალტის ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტო ახალ შენობაში გადავიდა. უმბერტო კალოსოს (Umberto Calosso) სახელობის ყოფილი სავაჭრო სკოლა სანტა ვენერას უბანში, რომელშიც ახალგაზრდობის ეროვნულმა სააგენტომ გადაინაცვლა, გადაკეთდა ახალგაზრდულ სოფლად.

## პრაქტიკის აღწერა:

ახალგაზრდული სოფელი ოფიციალურად 2015 წლის დეკემბერში გაიხსნა, მას შემდეგ რაც მალტის ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტო ახალ შენობაში გადავიდა. ყოფილი სავაჭრო სკოლის კომპლექსი იქცა სივრცედ, სადაც სააგენტო ახორციელებს არა მარტო ადმინისტრაციულ საქმიანობას, არამედ ქმნის თავისუფალ და უსაფრთხო სივრცეს ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის. ეს მიდგომა ეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან სივრცე ოპტიმალურად ათვისებულია და ასევე წარმატებით აკავშირებს ახალგაზრდობის განვითარებისათვის მნიშვნელოვან პროცესებს. შესაბამისად, პრაქტიკა პასუხობს პრინციპს „ყველაფერი ერთ სივრცეში".

გარდა ახალგაზრდული სოფლისა, სივრცე ასევე მასპინძლობს ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ეროვნულ პროგრამას "Yo-

uth.inc" და ახალგაზრდობის საკითხების შესახებ ინფორმაციის ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების პრაქტიკას (Youth Information One Stop Shop (YIOSS). ახალგაზრდული სოფელი ყოველწლიურად იზიდავს 1000-ზე მეტს ახალგაზრდას, ხოლო 2017 წლის მონაცემებით დარეგისტრირებული იყო 200-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია.

ახალგაზრდული სოფლის ამოცანებია:

- ადმინისტრაციული სერვისების გამარტივება და ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და მხარდაჭერის გამოყენების ოპტიმიზაცია;
- უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა ახალგაზრდებისათვის, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ სრულფასოვანი მხარდაჭერის სერვისები;
- სექტორთა შორის თანამშრომლობის მიდგომისა და პროფესიული კოლეგიალურობის ხელშეწყობა ახალგაზრდების მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად;
- სამინისტროებისა და სხვა ინსტიტუტების მიერ ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე ზრუნვა ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის;
- „ყველაფერი ერთ სივრცეში" მიდგომის გამოყენებით შეძლოს ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია;
- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების ჯუფს, მათ შორის, დასაქმების, განათლებისა და ტრეინინგის მიღმა მყოფ (NEET) ახალგაზრდებს, ასევე წიგნიერების დაბალი დონის მქონე ახალგაზრდებს, ახალგაზრდა მიგრანტებსა და სხვ.;
- წარმოადგენდეს სივრცეს ე.წ. „ინკუბატორს" ახალგაზრდებისათვის ახალი და ინოვაციური სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებისათვის;
- შექმნას სივრცე ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტოსათვის საველე და მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობის განსავითარებლად;
- წარმოადგენდეს რესურს-ცენტრს ახალგაზრდული მუშაკებისათვის და მათთვის, ვინც მუშაობს ახალგაზრდებთან სხვადასხვა პროფესიის ფარგლებში;
- უმასპინძლოს ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სახელმწიფო პროგრამას სახელწოდებით „Youth.inc"

2015 წლის აგვისტოში მალტამ მიიღო ახალგაზრდული ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი: „2020 წლისკენ - საერთო ხედვა ახალგაზრდების მომავლისათვის“. პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს 2015-2020 პერიოდს და წარმოადგენს ყოვლისმომცველ და დეტალურ მიდგომას ახალგაზრდების საჭიროებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ახალგაზრდული სოფელი იზიარებს პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევას ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით.

**ძირითადი წყაროები:**

ERYICA, SHEryica - Good Practice in Youth Information, (2016),

*https://www.eryica.org/tools-resources*

**დამატებითი წყარო:**

Public Broadcasting Services, „Umberto Calosso: from tradeschool to youth village“, (2017)

*https://www.tvm.com.mt/en/news/umberto-calossumberto-calosso-from-tradeschool-to-youth-villageo-minn-skola-tas-snajja-ghal-villagg-taz-zghazagh/*

# პოლონეთი - EUROSZANSE, ევროპული შესაძლებლობები

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | „EuroSzanse/Euroopportunities” |
| ქვეყანა | პოლონეთი |
| ორგანიზაცია | Eurodesk Poland |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | საინფორმაციო ახალგაზრდული საქმიანობა EduGaming/Edutainment „განათლება გართობასთან/ თამაშთან ერთად“ |
| განხორციელების პერიოდი | 2019 წლიდან |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | მოზარდები და ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

ევროპის კონტინენტზე ახალგაზრდული გაცვლისა და მობილობის წახალისების მიზნით, Eurodesk-ის წარმომადგენლობამ სამაგიდო თამაში შექმნა. თამაში ხელს უწყობს ახალგაზრდებში მობილობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, საკუთარი მიზნებისა და მისწრაფებების უკეთ გაანალიზებას და ამ მიზნების მისაღწევად მობილობის პროგრამების გამოყენებას. სამაგიდო თამაში ემყარება ე.წ. EduGaming/Edutainment პრინციპს, რაც გულისხმობს განათლებისა და გართობის შერწყმას.

## პრაქტიკის აღწერა:

სამაგიდო თამაში „Euroopportunities/EuroSzanse” ხელს უწყობს ევროპის ახალგაზრდული გაცვლისა და მობილობის პროგრამებში ახალგაზრდების ჩართვას. თამაში არა მარტო ახალგაზრდული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის არის საინტერესო, არამედ ახალგაზრდებში ინფორმირებული არჩევანის გაკეთების კულტურასაც ავითარებს.

თამაშის წესების თანახმად, მობილობის შესაძლებლობები დატანილია ბარათებზე, რომლებიც დაყოფილია სამ კატეგორიად: უნარები, ცოდნა და დამოკიდებულებები. თითოეულ ბარათს მინიჭებული აქვს ქულა. ქულათა რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, რა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს სთავაზობს რომელიმე კონკრეტული პროგრამა. მოთამაშეებს ასევე შეუძლიათ დამატებითი ქუ-

ლების მიღება მიღწევებისათვის 6 სხვადასხვა კატეგორიაში: სტაჟირება, განვითარება, მოგზაურობა, მეცნიერება, გაცვლა/გაზიარება, სხვადასხვა კონკურსები; თითოეული მიღწევა განისაზღვრება 5 ქულით. იმისათვის, რომ მონაწილემ მოიპოვოს მიღწევისათვის ქულები, მან უნდა შეაგროვოს სამი ბარათი ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიაში. მობილობის ბარათის მოსაპოვებლად კი სპეციალური ჟეტონებია, რომლებიც შეესაბამება სხვადასხვა თვისებას ან რესურსს, მაგალითად: ქარიზმა, ტალანტი, ფული, ცოდნა, ცნობისმოყვარეობა. თამაშში, სვლების მიხედვით, შესაძლებელია ჟეტონების მიღება, ბარათების შეგროვება და შესაბამისად ქულების დაგროვება.

თამაში მოიცავს სხადასხვა სვლას, სვლების მიხედვით ირკვევა, რა არის მოთამაშის ინტერესი, მობილობის რომელი პროგრამით შეძლებს ინტერესების დაკმაყოფილებას და მიზნების მიღწევას? სამაგიდო თამაში მონაწილეებს ეხმარება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში, რაც დადებითად მოქმედებს ახალგაზრდებში საკუთარ განათლე-ბასთან და განვითარებასთან დაკავშირებული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. სამაგიდო თამაშის დეტალური ინსტრუქცია ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ბმულზე:

**ძირითადი წყაროები:**

ERYICA, SHEryica - Good Practice in Youth Information, (2016),

*https://www.eryica.org/tools-resources*



*მოპოვებულია ვებგვერდზე: https://educationaltoolsportal.eu/en/tools/euroszanse-euroopportunities*

# პორტუგალია - VILA DA MARMELEIRA - არაფორმალური განათლების ცენტრი

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Vila da Marmeleira<br>- არაფორმალური განათლების ცენტრი |
| ქვეყანა | პორტუგალია |
| ორგანიზაცია | საგანმანათლებლო სამაგიდო თამაშების კომპანია Produções Fixe |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ჰიბრიდი |
| განხორციელების პერიოდი | 2013 - 2021 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 6 - 12, 13 - 17, 18 - 35, 35+. |

## მოკლე აღწერა

პორტუგალიის დედაქალაქ ლისბონიდან 70 კილომეტრში განლაგებულ ერთ პატარა სოფელ ვილა და მარმელეირაში (Vila da Marmeleira) ახალგაზრდულმა მუშაკებმა გადაწყვიტეს მთლიანად დასახლებული პუნქტი გადაექციათ არაფორმალური განათლების კერად.

## პრაქტიკის აღწერა:

ბოლო წლებში პორტუგალიაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური კრიზისის შედეგად, პატარა სოფელი ვილა და მარმელეირა, რომელშიც სულ რაღაც 450 ადამიანი ცხოვრობს, მძიმე რეალობის პირისპირ დადგა - უმუშევრობა, რომელსაც მოსახლეობისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების დემოტივაცია და გადინება მოჰყვება, სოფლის მზარდი „მოხუცებულობა“, განვითარების შეფერხება, სიღატაკე.

ამ გამოწვევის საპასუხოდ, ახალგაზრდული მუშაკების გუნდმა შექმნა ინოვაციური პროექტი, რომელიც ადგილობრივ სტეიკჰოლდერებთან ერთად (კომპანიები, ოჯახები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ავტორიტეტები), მიზნად ისახავდა მთელი დასახლებული პუნქტის გადაქცევას არაფორმალური განათლების კერად, სადაც გამოიყენებდნენ ახალგაზრდულ სფეროში დაგროვილ და სპეციალურად შექმნილ მეთო-

დებს - ადგილობრივად შექმნილ პედაგოგიურ სამაგიდო თამაშებს, ცოცხალ ბიბლიოთეკას, მოგება-მოგების კონცეფციის გამამყარებელ აქტივობებს, გონივრულ ტურიზმს, რომელშიც ყველა მხარე მოგებული რჩება.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ახალგაზრდულმა მუშაკებმა, რომლებიც სამაგიდო საგანმანათლებლო თამაშების შექმნაზე მუშაობდნენ, დააფიქსირეს, რომ ერაზმუს+-ის მიერ დაფინანსებული პროექტების უმეტესობა ხორციელდებოდა დახურულ გარემოში (მაგალითად, სასტუმროში), სადაც მინიმუმამდე იყო დაყვანილი ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტქატი და მათზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ახალგაზრდულმა მუშაკებმა გადაწყვიტეს, რომ გაცილებით უკეთესი, უფრო მასშტაბური და მდგრადი შედეგების დადება იქნებოდა შესაძლებელი, თუ ამაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვაც მოხდებოდა და მიიღეს გადაწყვეტილება: ყველა ახალგაზრდული საერთაშორისო პროექტის მონაწილეები ადგილობრივი თემის ცხოვრებაში ჩაერთოთ.

თუ ადრე ერაზმუსის პროგრამით ჩამოსული ჯგუფების მუშაობაში მხოლოდ ორგანიზატორები და სასტუმროს პერსონალი იყო ჩართული, პროექტის ავტორებმა გადაწყვიტეს, სოფლის ყველა მაცხოვრებელს განსაზღვრული როლი ეთამაშა და შესაბამისი მოგება მიეღო. სამაგიდო თამაშის მაგვარად, ავტორებმა სოფელი გადააქციეს რუქად, მისი მაცხოვრებლები კი თამაშის აქტორებად. ყველა ეროვნული თუ საერთაშორისო ტრეინინგი, სემინარი, პროექტი იგეგმებოდა და ხორციელდებოდა ადგილობრივი ინსტიტუციების, ბიზნესების, ეროვნული სააგენტოს მაქსიმალური ჩართულობით. როცა ორგანიზატორები მიხვდნენ, რომ ამან ადგილობრივი მოსახლეობის არა მხოლოდ ფინანსური მოგება, არამედ უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო უნარების (Soft skills) განვითარებასაც შეუწყო ხელი, გადაწყვიტეს კიდევ უფრო შორს წასულიყვნენ- ჩაატარეს ადგილობრივი მოსახლეობის საერთო კრება, წარადგინეს საკუთარი გრძელვადიანი ხედვა და მოგება-მოგების ფილოსოფია. მოამზადეს საგრანტო განაცხადი და მიიღეს დაფინანსება ეროვნული ფონდიდან ამ სოციალური პროექტის განსახორციელებლად.

პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის სხვა ქვეყნების ახალგაზრდულ სფეროებში - ფინეთის, ნორვეგიის, ნიდერლანდების, ბელგიის, საფრანგეთის, ირლანდიის, დანიისა და შვედეთის ეროვნულმა სააგენტოებმა დააფინანსეს სხვადასხვა პროექტი, რომლებიც ვილა და მარმელეირაში ჩატარდა. პორტუგალიის ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვიტა, ეს კარგი გამოცდილება სხვა მცირე სოფლებშიც დაენერგა. ბელგიის სააგენტომ კი 2015 წელს არსებული მოდელის დანერგვა გადაწყვიტა ბელგიის ერთ-ერთ სოფელში, რომელშიც ერაზმუსის ერთ-ერთი პროექტი უნდა განხორციელებულიყო.

**ძირითადი წყაროები:**

*https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/jo-claeys*

*https://pjp-eu.coe.int/en/web/coyote-magazine/vila-da-marmeleira*

Changemakers

*https://www.changemakers.com/play2learn/entries/rural-centre-non-formal-education*

# საფრანგეთი - TRAMPOLINE PROJECT, საზღვრისპირა თანამშრომლობა ახალგაზრდულ სფეროში

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | TRAMPOLINE Project<br>საზღვრისპირა თანამშრომლობა ახალგაზრდულ სფეროში |
| ქვეყანა | საფრანგეთი<br>ესპანეთთან და ანდორასთან ერთად |
| ორგანიზაცია | CRIJ Occitanie<br>საინფორმაციო ცენტრი ახალგაზრდებისათვის |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | საინფორმაციო ახალგაზრდული საქმიანობა და ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2018-2020 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

საზღვრისპირა რეგიონებში მოკლე ვადიანი ახალგაზრდული მობილობის ხელშეწყობის მიზნით TRAMPOLINE ინიციტივის განხორციელება 2018 წლიდან დაიწყო. ინიციატივაში ჩაერთო 3 ქვეყნის მოსაზღვრე რეგიონები: საფრანგეთი (ოქსიტანის რეგიონი), ესპანეთი (არაგონიის და კალატონიის რეგიონები) და ანდორა. ინიციატივის განხორციელებას უძღვებოდა საფრანგეთის ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრი ოქსიტანის რეგიონში. საზღვრისპირა მობილობის გზით ხელი ეწყობა რეგიონების თანამშორმლობას ახალგაზრდულ სფეროში, ამასთან ერთად, ეკო-მეგობრული/ეკო-ეფექტიანი ახალგაზრდული მობილობის დანერგვას და განვითარებას.



## პრაქტიკის აღწერა:

TRAMPOLINE პროექტი უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ავითარებს საზღვრისპირა თანაშრომლობას ახალგაზრდულ სფეროში, მოკლევადიანი ახალგაზრდული მობილობის გზით, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ინიციატივას უძღვება ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრი საფრანგეთის ოქსიტანის რეგიონში, პროექტში ასევე ჩართულია არაგონის და კატალონიის რეგიონები, ესპანეთში და ანდორა. პრაქტიკის განხორციელება დაიწყო ახალგაზრდულ სფეროში მოსაზღვრე ქვეყნების უკეთესი თანამშრობლობისა და ახალგაზრდებისათვის დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით.

გარდა ამისა, ახალგაზრდების საზღვრისპირა მოკლევადიანი და მოკლე დისტანციაზე განხორციელებული მობილობა ასევე ხელს უწყობს ეკო-მეგობრული/ეკო-ეფექტური საერთაშორისო პროექტების პოპულარიზაციას. მონაწილეებს შეუძლიათ შედარებით ეკომეგობრული სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება, როგორიცაა ავტობუსი ან მატარებელი. გარდა იმისა, რომ ინიციატივის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების ფაქტორს, პროექტი ასევე ხელს უწყობს მდგრადი და ე.წ. „მწვანე“ დასაქმების შესაძლებლობების ზრდას ახალგაზრდებისათვის.

პროექტის შედეგად:

- შეიქმნა ახალგაზრდა პროფესიონალების ქსელი საზღვრისპირა რეგიონებში ახალგაზრდულ, დასაქმების, ტრეინინგისა და არაფორმალური განათლების სფეროში;
- ხელი შეეწყო ციფრული რესურსების შექმნასა და გაზიარებას;
- შეიქმნა ვებ-გვერდი, რომელიც თავს უყრის პირენეიზე მდებარე მოსაზღვრე რეგიონებში დასაქმების, სტაჟირებისა და მოხალისეობრივ შესაძლებლობებს;
- მომზადდა ტრეინინგის დიზაინი “BAFA”/”Monitor de tiempo libre”, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ქვეყნის მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების პირველი სამუშაო გამოცდილების გაზიარებისათვის;
- განხორციელდა 300-ზე მეტი საინფორმაციო აქტივობა (2018-2020 წლებში);
- ხელი შეეწყო მოსაზღვრე რეგიონებს შორის ახალგაზრდების მობილობას;

Trampoline პროექტის, როგორც საზღვრისპირა თანამშრომლობის განხორციელება ასევე ხელს უწყობს 2020 წლის ევროპულ სტრატეგიას ინტელექტუალური, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის შესახებ, განსაკუთრებით კი სტრატეგიის ამოცანას ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის შესახებ.

**ძირითადი წყაროები:**

ERYICA, SHEryica - Good Practice in Youth Information, 2020

*https://www.eryica.org/tools-resources*

**დამატებითი წყარო:**

პროექტი TRAMPOLINE-ს ოფიციალური ვებგვერდი:

*https://www.reseau-trampoline.eu/*

*ფოტო მოპოვებულია Trampoline-ის ფეისბუქ გვერდზე:https://www.facebook.com/TrampolineUE/photos/a.197622191037228/918000908999349*

# სლოვენია - WHAT MAKES ME HAPPY, რა მამხიარულებს

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | What Makes Me Happy - თამაში |
| ქვეყანა | სლოვენია |
| ორგანიზაცია | L'MIT, Ljubljana Network of Info Points |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | საინფორმაციო და მობილური ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2017 ნოემბერი - 2018 ივნისი |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | ნებისმიერი |

## მოკლე აღწერა

ორგანიზაცია Ljubljana Network of Info Points (L'MIT)-მა 20 წლის წინ დაიწყო პროექტი "რა მაბედნიერებს" (What makes me happy), რომლის მიზანიც იყო ახალგაზრდების გამოკითხვა, მათი იდეების შეგროვება და ამ მასალაზე დაფუძნებით პლაკატების მომზადება-დაბეჭდვა. პროექტი იმდენად პოპულარული აღმოჩნდა და იმდენად დიდი მასალა დაგროვდა, რომ ორგანზატორებმა გადაწყვიტეს შეექმნათ სპეციალური ახალგაზრდული საქმიანობისთვის გამიზნული თამაში, რომელიც დღეს სლოვენიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

*ფოტო მოპოვებულია Trampoline-ის ფეისბუქ გვერდზე: https://www.facebook.com/TrampolineUE/photos/a.197622191037228/918000908999349*

## პრაქტიკის აღწერა:

ორგანიზაციამ მოამზადა განაცხადი და მიიღო გრანტი ამ იდეის განსახორციელებლად. თამაში ორი ნაწილისაგან შედგება, მოიცავს 40 ბარათს, რომელზეც არის ილუსტრაციები კითხვაზე "რა მაბედნიერებს" და მარტივად გამოსაყენებელი გზამკვლევი ახალგაზრდული მუშაკებისათვის. გზამკვლევში მოცემულია სხვადასხვა თამაშის იდეები და დეტალური აღწერილობა (ყინულის ტეხვა, ენერჯაიზერები, გუნდის შეკვრის სავარჯიშოები და სხვა). იქიდან გამომდინარე, თუ რა თამაშს აირჩევენ ახალგაზრდული მუშაკები, შეხვედრის ძირითადი მიზანი შეიძლება იყოს ახალგაზრდებს შორის მოსმენის, გაზიარებისა და რეფლექსიის უნარების განვითარება. თამაშს შეუძლია აგრეთვე ჯგუფში კეთილგანწობილი, პოზიტიური, თანამშრომლობაზე მიმართული ატმოსფეროს შექმნის ხელშეწყობა.

თამაშის პაკეტი "რა მაბედნიერებს" (What makes me happy) გამოსაყენებლად ძალიან მარტივია და მიესადაგება ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს. ახალგაზრდულ მუშაკებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს მასალა, როგორც ტრეინინგის, სემინარის, ვორქშოფის ნაწილი ან ჩართონ სხვა ჯგუფურ აქტივობაში. დღეისათვის ეს თამაში მხოლოდ სლოვენიურ ენაზე მოიპოვება, თუმცა ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ მალე ინგლისური ვერსიაც გამოვა.

## ძირითადი წყაროები:

*https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5f60d61f8069bf7d747f4c2c/1600181854413/Sheryica_2020_online_FINAL.pdf*

## დამატებითი წყარო:

*http://www.lmit.org/*

# მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა სოფლებში

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა სოფლებში |
| ქვეყანა | ფინეთი |
| ორგანიზაცია | City of Kuopio |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მოზიდვაზე ორიენტირებული და მობილური ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2015-2017 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 10-18 წელი<br>სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები |

## მოკლე აღწერა

ფინეთის ერთ-ერთი რეგიონის, სახელად „Kuopio“, 5 სოფელში განხორციელდა ორწლიანი პროექტი - „ადგილობრივი სერვისები სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულიტრებისათვის.“ პროექტში ჩართული იყო ერთი ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც ახორციელებდა საინფორმაციო აქტივობებს. პროექტის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სამიზნე სოფლებში მცხოვრები მოზარდები 10-18 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის რამდენიმე ძირითადი გამოწვევა არსებობდა. სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ განხორციელდა პროექტი, რომელიც წარმატებულ პრაქტიკად იქცა.

## პრაქტიკის აღწერა:

Kuopio-ს რეგიონის სოფლებში მცხოვრები მოზარდებისათვის, სხვა გამოწვევებთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო დისტანციის საკითხი. ახალგაზრდებს ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი მათთვის საინტერესო სხვადასხვა და მნიშვნელოვან მომსახურებაზე, გეოგრაფიული დაშორებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ახალგაზრდული მუშაკი აქტიურად იყენებდა მრავალფეროვან მეთოდებს, რომ ახალგაზრდებისათვის ინფორმაციაზე წვდომა გაემარტივებინა.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის გაწევის რამდენიმე მეთოდი, რაც პროექტის ფარგლებში იყო გამოყენებული:

**ახალგაზრდული საინფორმაციო სერვისების მოდელის** შექმნა Kuopio-ის რეგიონის სოფლებისათვის;

**საინფორმაციო პაკეტების** მომზადება ახალგაზრდებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხებზე;

**თანასწორთა განათლების** გამოყენება, როგორც ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, თანასწორგანმანათლებელთა მომზადება;

ფორმალური განათლების სივრცისა და ფორმალური განათლების პროფესიონალების (მასწავლებლები, ადმინისტრაცია) დაახლოება ახალგაზრდულ მუშაობასთან **გამოცდილების გაზიარების** გზით;

*ფოტო მოპოვებულია ვებგვერდზე: https://www.kuopio.fi/en/etusivu*

განსაკუთრებულად აღინიშნა ინდივიდუალური კონსულტაციების როლი, ასევე თანამშრომლობა ადგილობრივ მასწავლებლებთან და სკოლების ადმინისტრაციულ პერსონალთან.

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა. მაგალითად, გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდულ ცენტრებს ძირითადად ბიჭები სტუმრობდნენ, ახალგაზრდულმა მუშაკმა ჩამოაყალიბა გოგოების ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო გოგოების უფრო მეტად დაინტერესება ახალგაზრდული ცენტრების სერვისებით. ახალგაზრდულმა მუშაკმა ასევე ჩაატარა რამდენიმე საინფორმაციო სესია მოწვეული სტუმრების დახმარებით, რომლებიც ახალგაზრდებს უზიარებდნენ ინფორმაციას განვითარების, კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის სხვადახვა საკითხთან დაკავშრებით. ახალგაზრდული მუშაკის დახმარებით ადგილობრივი ახალგაზრდები ასევე ჩაერთნენ საერთაშორისო პროექტებში, მაგალითად, სერთაშორისო ახალგაზრდული პროექტი “Media Lab”.

პროექტმა ჯამში მოიცვა 4000-ზე მეტი ახალგაზრდა. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა რესურსი პროექტის დასრულების შემდეგაც აქტიურად იყო გამოყენებული ადგილობრივი ახალგაზრდების მხარდასაჭერად. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერებისა და ინფორმაციაზე ხელმისწავდომობის გაზრდის ხელშესაწყობად პროექტი შეფასდა, როგორც კარგი გამოცდილება, შესაბამისად, წაახალისა მსგავსი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელება ფინეთის სხვა რეგიონებშიც.

**ძირითადი წყაროები:**

ERYICA, SHEryica ‘Good Practice in Youth Information’ (2016),

*https://www.eryica.org/tools-resources*

# შვედეთი - UNGA IN, ახალგაზრდების ინტეგრაციისათვის

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | “Unga In” (“Youths Included”) ახალგაზრდების ინტეგრაციისათვის |
| ქვეყანა | შვედეთი |
| ორგანიზაცია | Arbetsförmedlingen შვედეთის დასაქმების საჯარო სამსახური (Swedish Public Employment Service PES) სხვა აქტორებთან ერთად |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | მოზიდვაზე ორიენტირებული და საველე ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2012-2014 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 16-24 წლის NEET ახალგაზრდები – დასაქმების, განათლებისა და ტრეინინგის მიღმა მყოფ ახალგაზრდათა ჯგუფი. |

## მოკლე აღწერა

პრაქტიკის განხორციელება 2012 წელს დაიწყო. ამ დროისათვის შვედეთში, 16-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ე.წ. NEET ახალგაზრდების (დასაქმების, განათლებისა და ტრეინინგის მიღმა მყოფი ახალგაზრდები) რიცხვი საკმაოდ მაღალი იყო.[1] თუმცა აღმოჩნდა, რომ შვედეთის დასაქმების საჯარო სამსახური მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა NEET ახალგაზრდებამდე ინფორმაციის მიტანას და მათ დაინტერესებას სახელმწიფო პროგრამებით. ამიტომ საჭირო იყო კომპლექსური, სექტორთა შორის თანამშრომლობითი მიდგომა და, რაც მთავარია, ახალგაზრდული საქმიანობის ეფექტიანად გამოყენება. სწორედ აქედან დაიწყო „Unga In“ პროექტი, რომელმაც საფუძველი დაუდო ინიციატივის გაგრძელებას - „UngKomp“ პროექტს.

1 შვედეთის ახალგაზრდობის და სამოქალაქო საზოგადოების სააგენტოს (MUCF) სააგენტოს მონაცემებით 2012 წელს ჯამში 117 025 ახალგაზრდა არ იყო დასაქმებული, არ სწავლობდა ან გადიოდა სტაჟირება/ტრენინგს. ინფორმაცია ხელმისწავდომია: http://www.nordiclabourjournal.org/i-fokus/in-focus-2015/theme-april/article.2015-04-13.3881817727 ბოლოს ნანახია: 25 ივნისი, 2021

## პრაქტიკის აღწერა:

პრაქტიკის განხორციელებაში, შვედეთის დასაქმების საჯარო სამსახურთან ერთად, ჩართულები იყვნენ სხვადასხვა აქტორები, მათ შორის, ახალგაზრდული ცენტრი "Fryshuset", პოლიციის ეროვნული საბჭო, მუნიციპალიტეტები და შვედეთის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რეგიონების ასოციაცია (SKL). პრაქტიკის განხორციელების ძირითადი მიზანი იყო ახალგაზრდების ჰოლისტიკური და მოქნილი მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება და გამოყენება, რათა უკეთ ეპასუხათ მარგინალიზებული და NEET ახალგაზრდების საჭიროებებისათვის, რაც საბოლოოდ მათი შესაძლებლობების რეალიზებასა და დასაქმებას შეუწყობდა ხელს.

პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში, მრავალფეროვანი მეთოდები იყო გამოყენებული. თუმცა აღსანიშნავია „ახალგაზრდა კონსულტანტების" იდეა და მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, რომლებიც ერგება მოზიდვაზე ორიენტირებულ და საველე ახალგაზრდული საქმიანობის ფორმატს. ახალგაზრდა კონსულტანტები ასევე წარმოადგენდნენ ინიციატივის მიზნობრივ სოციალურ ჯგუფს - NEET ახალგაზრდებს. მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი NEET ახალგაზრდისათვის გაეცნოთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ და უზრუნველეყოთ მათი დაინტერესება. 25 ახალგაზრდა კონსულტატი მიდიოდა კონცერტებზე, ფესტივალებზე, სხვადასხვა ღონისძიებაზე, სადაც შესაძლებელი იყო ინიციატივის სამიზნე ჯგუფთან შეხვედრა. პრაქტიკა მოიცავდა 5 ძირითად ნაბიჯს:

**1**

ახალგაზრდა კონსულტანტები ხვდებოდნენ სამიზნე ჯგუფის წევრ ახალგაზრდებს

**2**

დაინტერესებული ახალგაზრდები რეგისტრირდებოდნენ შვედეთის დასაქმების საჯარო სამსახურის პროგრამაზე

**3**

დარეგისტრირებულ ახალგაზრდებთან მუშაობდა მენტორი

**4**

მენტორი აფასებდა ახალგაზრდის კომპეტენციებს, საჭიროებებსა და განსაზღვრავდა მხარდაჭერის ფორმას

**5**

შესაბამისი ჰოლისტიკური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდჭერის ღონისძიებები ხორციელდებოდა არაფორმალურ, ახალგაზრდისათვის უსაფრთხო გარემოში

“Unga In” ინიციატივამ მოიცვა ჯამში 1333 მარგინალიზებული ახალგაზრდა, აქედან 688 მონაწილე სრულად ჩაერთო პროგრამაში. 27% დასაქმდა, 32% ჩაერთო განათლების პროგრამებში, 27% გააგრძელა მხარდაჭერის მიღება (მაგალითად, შესაბამისი ტრეინინგი). პრაქტიკამ ხელი შეუწყო საზოგადოებიდან იზოლირებული ახალგაზრდების ინტეგრაციას, კომუნიკაციისა და ნდობის გარღმავებას. პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ კარგად კოორდინირებული თანამშრომლობა სხვადასხვა აქტორს შორის იყო წარმატებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მიდგომა. ამასთანავე, განსაკუთრებულად შეფასდა ახალგაზრდა კონსულტანტების - ახალგაზრდული მუშაკების როლი პრაქტიკის წარმატებით განხორციელების პროცესში.

პრაქტიკა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ გაგრძელდა 2013 წლის შემდეგაც, 2015-2018 წლებში განხორციელდა პროექტი UngKomp, რომელიც დაეფუძნა წარმატებული პრაქტიკის ძირითად მიდგომებსა და მეთოდებს. UngKomp-ის შესახებ მიძღვნილ სტატიაში ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებას დაენახათ ისინი იქ, სადაც არიან, რა გარემოშიც უწევთ ცხოვრება “Being seen where you are”, რაც საველე და მოსაზიდი ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელოვანი პრინციპია. პრაქტიკის შესახებ შთაბეჭდილებები შეგიძლიათ ნახოთ სტატიაში, რომელიც ხელმისწავდომია ინგლისურ ენაზე ამ ბმულზე:

*http://www.nordiclabourjournal.org/i-fokus/in-focus-2015/theme-april/article.2015-04-13.3881817727*

## ძირითადი წყაროები:

*ევროპის კომისია, პუბლიკაცია ‘Youth to Youth Integration (Unga In)’ 2016*

## დამატებითი წყარო:

Nordic Labour Journal “New concept at Sweden’s employment service gains young people’s trust” (2015)

*http://www.nordiclabourjournal.org/i-fokus/in-focus-2015/theme-april/article.2015-04-13.3881817727*

# შოტლანდია - DIGI,AYE?

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | ‘Digi,Aye?’ |
| ქვეყანა | შოტლანდია |
| ორგანიზაცია | Young Scot (ახალგაზრდა შოტლანდიელი) |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ციფრული ახალგაზრდული საქმინობა |
| განხორციელების პერიოდი | 2017 წლის სექტემბერი - 2018 წლის თებერვალი |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 13+ |

## მოკლე აღწერა

ახალგაზრდებს შორის კიბერუსაფრთხოების შესახებ ცოდნისა და სტრესმედეგობის გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაცია „ახალგაზრდა შოტლანდიელმა“ წამოიწყო კამპანია „Digi,Aye.“ რომელიც ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან, ცხელ თემებს ეხებოდა, მათ შორის, სოციალურ ქსელსა და ინდივიდუალურ უსაფრთხოებას, ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებას, საკუთარი ციფრული იდენტობის დაცვას, ონლაინ შესყიდვებს, როგორ მოეწყოთ „ონლაინ წმენდა“ და ონლაინ პაემნები.

*ფოტო მოძიებულია: ევროპის ახალგაზრდული საინფორმაციო და საკონსულტაციო სააგენტო Yeurica-ს საიტზე https://www.eryica.org/news/2017/11/9/staying-secure-online-digi-aye-young-scot*

## პრაქტიკის აღწერა:

Digi,Aye. არის შოტლანდიური გამოთქმა ‘did ye’ (შენ მართლა გააკეთე ეს) ‘aya’ (დიახ), რომელიც იმ შემთხვევებში გამოიყენება, როცა შოტლანდიელს უნდა ურწმუნობა გამოხატოს ვიღაცის დაუჯერებელი მონათხრობის მიმართ. ამ სახუმარო ბრენდინგმა ‘Digi, Aye?’-ს კამპანიას ახალგაზრდული იერსახე მისცა და გაამარტივა ახაგაზრდების მოზიდვა და ჩართვა.

კამპანია 2017 წლის სექტემბერში დაიწყო, როცა „ახალგაზრდა შოტლანდიელმა“ სპეციალურად ამ კამპანიისათვის შექმნა ციფრული პლატფორმა (www.young. scot/digiaye), რათა რელევანტური ინფორმაცია დაემუშავებინა, განეთავსებინა და შეეთავაზებინა ახალგაზრდებისათვის და შეექმნა აქტივობის მთავარი ჰაბი. ამას მოჰყვა ახალგაზრდა შოტლანდიელებისათვის ყველაზე პოპულარულ სოც. ქსელებში - Snapchat, Instagram, Instagram Stories, YouTube, Facebook და Twitter ინფორმაციის ყოვლედღიურად განთავსება. ამან უზრუნველყო ახალგაზრდების სხვადასხვა ფენის ჩართვა კამპანიაში. ორგანიზატორებმა კარგად გათვალეს ახალგაზრდების მოზიდვა-ჩართვის გზები და ამისათვის იყენებდნენ ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა ფორმას: სტატიები, ინფოგრაფიკა და ვიდეო-რგოლები, რათა აემაღლებინათ ონლაინ უსაფრთხოების შესახებ ცნობიერება. მასალის დიდი ნაწილი თავად ახალგაზრდებთან ერთად მზადდებოდა და მათი მოსაზრება, მათი ხმა მკაფიოდ ისმოდა მთელი კამპანიის მანძილზე.

დაწესდა „ახალგაზრდა შოტლანდიელის“ ჯილდო, რომელიც ‘Digi, Aye?’კამპანიის აქტიურ მონაწილეებს ქულებით აჯილდოვებდა. აქტიური მომხმარებლების რიცხვი 100,000-მდე ავიდა. კამპანიას ყოველთვიურად განსხვავებული, ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი თემატიკა და მნიშვნელოვანი კალენდარული დღეები გამოჰქონდა წინა პლანზე.

შოტლანდიის პარლამენტის წევრ, ჯილიან მარტინთან თანამშრომლობით ‘Digi, Aye?’-ის კამპანიამ დააფინანსა კოლეჯის სტუდენტების ჯგუფი ინტიმური ციფრული გამოსახულებების გაზიარების საფრთხის შესახებ ორი ვიდეო-რგოლის გადასაღებად. ფილმების სცენარის გაწერა, გადაღება, რედაქტირება - თავიდან ბოლომდე სტუდენტების მიერ განხორციელდა, თუმცა მსახიობებად ადგილობრივი ახალგაზრდა პროფესიონალები დაიქირავეს, რათა ეს „საჩოთირო“ თემა გაეცოცხლებინათ. დასრულებული ფილმები შოტლანდიის პარლამენტს წარუდგინეს 2017 წლის თებერვალში - „უსაფრთხო ინტერნეტის დღეს.“ მუშაობის ამ ფორმამ ახალი განზომილება შესძინა ‘Digi, Aye?’-ს - ახალგაზრდების მოსაზრების გაზიარება „სთორითელინგის“ (მოთხრობების გადმოცემის) გზით. ამ ფილმების ნახვა შესაძლებელია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, YouTube-ზე და ორგანიზაციის სხვადასხვა სოციალურ პლატფორმებზე. დღეის ათვლით ფილმი 2,377,103 ნახვას ითვლის მხოლოდ YouTube-ზე.

**ძირითადი წყაროები:**

Good Practice in Youth Information - ევროპის ახალგაზრდული საინფორმაციო და საკონსულტაციო სააგენტო Yeurica

*https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5bd9654ccd83666261ba9e53/1540973907525/Sheryica_2018_online+%281%29.pdf*

**დამატებითი წყარო:**

Young Scot
ოფიციალური გვერდი

*https://young.scot/campaigns/national/digiknow*

**ვიდეოები:**

Overexposure – short film

*https://young.scot/campaigns/national/digiknow*

Being safe online

*https://www.youtube.com/watch?v=eNGyPvd_u5Y*

Cyber Attraction: A Short Film/Young Scot

*https://www.youtube.com/watch?v=0aG0u_lE9ak*

# ჩეხეთი - რომა ახალგაზრდული აქტივიზმი

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Roma Youth Activism<br>რომა - ახალგაზრდული აქტივიზმი |
| ქვეყანა | ჩეხეთის რესპუბლიკა |
| ორგანიზაცია | Konexe |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2012 წლიდან დღემდე |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | ბოშა ახალგაზრდები, ასაკი არ არის დაკონკრეტებული |

## მოკლე აღწერა

ასოციაცია Konexe, საზოგადოებრივ პროცესებში ბოშა ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით, ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას 2012 წლიდან. ასოციაციას წარმოადგენენ თავად ბოშა ახალგაზრდები, რომლებიც უძღვებიან სხვადასხვა ინიციატივას ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.

## პრაქტიკის აღწერა:

ასოციაცია Konexe-ს საქმიანობა გამოირჩევა იმით, რომ ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროში ბოშა ახალგაზრდები არიან ჩართულები, შესაბამისად, მათ აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაგეგმონ და განახორციელონ ახალგაზრდული საქმიანობა იმ მიმართულებით, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბოშა ახალგაზრდებისათვის. ასოციაცია აერთიანებს 80-მდე წევრს, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდა ბოშაა.

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთში ბოშების მიმართ არსებობს დისკრიმინაციული და რასისტული დამოკიდებულებები, რაც, მათ შორის ახალგაზრდებს, არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. ულტრანაციონალისტური მოძრაობების ზრდის ფონზე, ჩეხეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ბოშა ახალგაზრდების მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა მოახდინონ საკუთარი

თავის რეალიზება და უფლებების ადვოკატირება.

ასოციაცია ახლად მიღებულ წევრებს ამზადებს რამდენიმე მიმართულებით, რასაც ძირითადად ახორციელებს ტრეინინგ-კურსების საშუალებით. კურსები  მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება რასისტულ ქმედებებზე საპასუხოდ, მშვიდობიანი და უსაფრთხო მიდგომების გამოყენება პოტენციურად ძალადობრივ სიტუაციებში ბოშა ახალგაზრდების მიმართ; ბოშა ახალგაზრდების მხარდაჭერა საკუთარი უფლებების არაძალადობრივი მეთოდებით დაცვაში;

საბაზისო მოსამზადებელი ღონისძიებების გავლის შემდეგ, რისთვისაც, როგორც წესი, საჭიროა 1-დან 2 თვემდე, აქტივისტები ერთვებიან კონკრეტული გამოწვევების ადვოკატირების პროცესში. ასოციაცია ასევე უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ დახმარებასა და კონსულტირებას სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ასოციაციის მიდგომის თანახმად, Konexe ემიჯნება და უარყოფს სოციალური ინტეგრაციის ინიციატივებს, რომლებიც ექსკლუზიურად ეხება ბოშებს, რადგან ეს მიიჩნევა, როგორც ბოშების ობჯექტივიზაცია, შესაბამისად, მათი პასიურ მხარედ აღქმა. ამრიგად, ასოციაცია მუშაობს იმისათვის, რომ ბოშები აღქმულნი იყვნენ, როგორც აქტიური მხარეები და პარტნიორები საზოგადოებრივ პროცესებში. აღნიშნული მიდგომა ახალგაზრდულ საქმიანობაში ეხმიანება ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის პრინციპს. მიდგომა ეფექტიანია, რადგან უზრუნველყოფს მარგინალური და ნაკლებად პრივილეგირებული ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას ახალგაზრდულ საქმიანობაში და მის მიღმა.

**ძირითადი წყაროები:**

პუბლიკაცია “Manual for Good Practices Social Integration of Young Migrants Through Participation” მომზადებულია პროექტის “A PART OF EU” ფარგლებში. 2018 ხელმისაწვდომია ბმულზე:

*https://www.salto-youth.net/tools/toolbox/tool/good-practices-on-social-integration-of-young-migrants-through-participation.2406/*

**დამატებითი წყარო:**

*https://www.facebook.com/Konexe/*

# მსოფლიო - FREE BEING ME, თავისუფალი მე

| | |
|---|---|
| პრაქტიკის სახელი | Free Being Me „თავისუფალი მე“ |
| ქვეყანა | მსოფლიო |
| ორგანიზაცია | WAGGGS – World Association of Girl Guides and Girl Scouts - გოგო გაიდებისა და გოგო სკაუტების მსოფლიო ასოციაცია |
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმა | ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული საქმიანობა, მობილური ახალგაზრდული საქმინობა, მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმინობა, სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა, მობილური ახალგაზრდული საქმიანობა |
| განხორციელების პერიოდი | 2013 - 2021 |
| ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფი | 7-10 და 11-16 |

## მოკლე აღწერა

Free Being Me – „თავისუფალი მე“ არის არაფორმალური განათლების პრინციპებსა და მეთოდებზე დაფუძნებული ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც 2013 წელს შეიქმნა გოგო გაიდებისა და გოგო სკაუტების მსოფლიო ასოციაციისა და Dove-ის ჯანსაღი თვითშეფასების ფონდის მიერ (Dove Self-Esteem Fund)

პროგრამის მიზანია, ინტერაქტიული აქტივობების საშუალებით, ბავშვებისა და მოზარდების თვითშეფასებისა და საკუთარი სხეულის მიმღებლობის გაუმჯობესება.

2014 წლიდან დღემდე პროგრამა 19 ენაზე ითარგმნა და უფასოდ შეიძლება მისი ჩამოტვირთვა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, არაბულ და სვაჰილის ენებზე პროგრამის ოფიციალური გვერდიდან. მალე მათ რიცხვს ქართული თარგმანიც შეემატება.

## პრაქტიკის აღწერა:

2010 წელს Dove-ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 10-დან 6 გოგო თავს ანებებს ან საერთოდ არ ერთვება სხვადასხვა ტიპის აქტივობაში, რომლისკენაც გული მიუწევს, რადგან არ მოსწონს და თავს კომფორტულად ვერ გრძნობს საკუთარ სხეულში. 2013 წელს WAGGGS-ის მიერ 70 ქვეყანის ქალებთან და გოგოებთან ჩატარებულმა კვლევამ კი უჩვენა, რომ რესპოდენტების 45% თვლის, რომ გოგოები თავს არიდებენ ლიდერულ პოზიციებს, რადგან სხეულის დაბალი თვითშეფასება აქვთ.

WAGGGGS-ისა და Dove-ის მიერ შექმნილი პროგრამა ეფუძნება სხვადასხვა ექსპერტის, მკვლევარისა და ფსიქოლოგისაგან შემდგარი კოლაბორაციული ჯგუფის გამოცდილებას და ამ დარგში არსებულ კვლევებს.

**პროგრამის ხედვა:** სამყარო, სადაც გოგოებს აღარ აქვთ გარეგნობასთან დაკავშირებული შფოთვა.

**პროგრამის მისია:** საკუთარი სხეულის მიმღებლობისა და თვითშეფასების გაუმჯობესების გზით გოგოების გაძლიერება, რათა შესძლონ საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზება.

სპეციალურად გოგოებისათვის დაწერილი ეს სახალისო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მოზარდებს დაფიქრდნენ, რა გავლენას ახდენს გარემო ადამიანების მიერ საკუთარი თავისა და გარშემომყოფების შეფასებაზე. პროგრამის საშუალებით მოზარდები აცნობიერებენ, რომ საზოგადოება, მედიისა და გარშემომყოფების საშუალებით, სილამაზის ხელოვნურ სტანდარტებს ნერგავს და აიძულებს ადამიანებს, საკუთარი გარეგნობა სილამაზის ვიწროდ განსაზღვრულ სტანდარტს დაუქვემდებარონ; უფიქრდებიან იმას, რა უარყოფით მხარეები აქვს „გარეგნობის მითს“ და აღმოაჩენენ, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია ამ მითის რეალობაში გადმოტანა-განხორციელება, რადგან მოდელების ფოტოებსაც კი ფოტოშოფით ამუშავებენ!

პროგრამა ეხმარება მოზარდებს გამოხატონ საკუთარი აზრი და მოძებნონ გზები, როგორ დაუპირისპირდნენ და შეცვალონ „გარეგნობის მითი“, როგორ აიმაღლონ სხეულის რწმენა და ეს ყველაფერი სახალისო გარემოში ხორციელდება.

ამ პროგრამის კიდევ ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ მონაწილეები არა მარტო თავად იმაღლებენ ცნობიერებას და ამსხვრევენ საკუთარ სტერეოტიპებს, არამედ ხელში იღებენ ინიციატივას და პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას უზიარებენ საკუთარ გარემოცვას, მეგობრებს, თემს, საზოგადოებას.

ბევრ ქვეყანაში პროგრამის განხორციელება ხდება თანასწორგანმანათლებლობის მეთოდის გამოყენებით - 16-25 წლის გოგოებს უტარდებათ ტრეინინგი ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო ფორმატში, სადაც სწავლობენ, როგორ ჩაატარონ სესიები „თავისუფალი მე“-ს საპროგრამო პაკეტიდან. პროგრამა ორ ასაკობრივ ჯგუფზეა გათვლილი - 7-10 წლის ბავშვებზე და 11-16 მოზარდებზე. შექმნილია ასევე პროგრამის ჩატარებისთვის საჭირო ლიდერის სახელმძღვანელოც.

**პროგრამის დასრულების შემდეგ, ყველა მონაწილე ღებულობს სპეციალურად ამ პროგრამისთვის შექმნილ სამკერდე ნიშანს - ბეჯს.**

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად პროგრამა გამიზნულად შეიქმნა გოგოებისათვის, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბიჭებსაც სჭირდებათ მსგავსი მხარდაჭერა. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის გოგო სკაუტებისა და გოგო გაიდების ორგანიზაციების ნაწილი პროგრამას ატარებს შერეულ ჯგუფებში ან გოგოების პარალელურად მუშაობს ბიჭების ჯგუფებთანაც.

WAGGGS - გოგო გაიდებისა და გოგო სკაუტების მსოფლიო ასოციაცია არის 150 ქვეყანაში არსებული ეროვნული ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც 10 მილიონ მოქმედ წევრს ითვლის. WAGGGS-ი არის მსოფლიოს ყველაზე დიდი მოხალისეობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის მისიაა, არაფორმალური განათლებისა და საერთაშორისო შესაძლებლობების საშუალებით, ხელი შეუწყოს გოგოებსა და ახალგაზრდა ქალებს, სრულად განივითარონ არსებული პოტენციალი და გახდნენ სამყაროს პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები.

ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მომუშავე ყველა ზრდასრული, რომელთაც ლიდერებს ან გაიდერებს უწოდებენ ორგანიზაციაში, ფაქტობრივად, ახალგაზრდული მუშაკები არიან და მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ.

„თავისუფალი მე“ იყენებს გოგო გაიდებისა და გოგო სკაუტების საგანმანათლებლო მეთოდებს:

**მცირე ჯგუფებში სწავლა და მუშაობა** - საშუალებას იძლევა, ყველა გოგოს ჰქონდეს უსაფრთხო სივრცე, სადაც მოუსმენენ, გაუგებენ და ხელს შეუწყობენ, განივითაროს სხვადასხვა უნარი და თავდაჯერებულობა.

**ინდივიდუალური თვით-განვითარება** - სწავლის სხვადასხვა სტილის გამოყენება, თითოეული წევრის მიღწევების აღნიშვნა, უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის განვითარება.

**სწავლა პრაქტრიკული საქმინობის პროცესში** - გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც არის სახალისო, საინტერესო და დინამიური.

**თემზე და საზოგადოებაზე ორიენტირებული** - ხელს უწყობს გოგოებს პოზიტიური ცვლილებები განახორციელონ როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ მასშტაბში.

**საერთაშორისო გამოცდილება** - სხვადასხვა ქვეყნის გოგოებთან ურთიერთობაში კულტურათშორისი კომუნიკაციის უნარების განვითარება.

სტატისტიკა: 2013-დან 2016 წლამდე პროგრამა გაიარა 3.5 მილიონმა გოგომ. ჩატარდა კვლევა, რომელმაც აჩვენა რომ „თავისუფალი მე“-ს აქტივობებში მონაწილეობის სამი წლის თავზე:

**60%**

გოგოების 60%-მა საგრძნობლად გაიუმჯობესა სხეულის მიმღებლობა

**78%**

გოგოების 78% უფრო თავდაჯერებული გახდა სასკოლო სივრცეში

**71%**

გოგოების 71% უკეთესი ურთიერთობა აქვს თანატოლებთან

**53%**

გოგოების 53%-ს გაუუმჯობესდა ურთიერთობები ოჯახში.



„თავისუფალი მე“ საქართველოში - 1997 წლიდან საქართველოში მუშაობს საქართველოს გოგო სკაუტების ასოციაცია „დია“, რომელმაც 2017 წელს დაიწყო პროგრამის დატესტვა World Vision საქართველოს მიერ დაფინანსებულ სკაუტურ ბანაკში. პროგრამა ჩატარდა 11-12 წლის გოგოებისა და ბიჭების შერეულ ჯგუფში და ბავშვების დიდი დაინტერესება გამოიწვია. მას შემდეგ „დია“-ს ლიდერები ყოველწლიურად ახორციელებენ პროგრამას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, რაზმის ყოველკვირეულ შეხვედრებზე ან საზაფხულო ბანაკებში.



## ძირითადი წყაროები:

პროგრამის ოფიციალური გვერდი

*https://free-being-me.com/*

## დამატებითი წყარო:

აქტივობების პროგრამა 11-14 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის

*https://www.dove.com/content/dam/unilever/dove/global/english/personal_care_unidentified/all/free_being_me_11-14_activity_pack-717963.pdf*

WAGGGS ოფიციალური გვერდი

*https://www.wagggs.org/en/*

საქართველოს გოგო სკაუტების ასოციაცია „დიას“ FB გვერდი -

*https://www.facebook.com/GGSDia/?ref=page_internal*

## ფოტო მოძიებულია

საქართველოს გოგო სკაუტების ასოციაცია „დიას" FB გვერდიდან

*https://www.facebook.com/GGSDia/?ref=page_internal*

# ტერმინთა განმარტებები

| კატეგორია | # | ინგლისური ტერმინი | ქართული შესატყვისი | განმარტება |
|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები | 1 | Youth Work | ახალგაზრდული საქმიანობა | ახალგაზრდული საქმიანობა საგანმანათლებლო საქმიანობაა, რომელიც ფარავს ყველა ტიპის სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ. ახალგაზრდული საქმიანობა დაფუძნებულია არაფორმალურ და ინფორმალურ განათლებაზე, რომელშიც ახალაგზრდები თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით, ნებაყოფლობით არიან ჩართულები. ახალგაზრდული საქმიანობა სოციალური პრაქტიკაა, რომელიც ხელს უწყობს ახალაგზრდების სრული პოტენციალის განვითარებას, მათ კეთილდღეობასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. |
| | 2 | Mobile Youth Work | მობილური ახალგაზრდული საქმიანობა | მობილური ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ფორმაა, რომელიც ძირითადად ხორციელდება იქ, სადაც ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები და ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული. მობილური ახალგაზრდული საქმიანობა სრულიად იზიარებს ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულებებსა და პრინციპებს, დაფუძნებულია ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე და ხორციელდება ახალგაზრდისთვის ჩვეულ გარემოში. |
| | 3 | Digital Youth Work | ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა | ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა ახალაგზრდულ საქმიანობაში მედიისა და ტექნოლოგიების პროაქტიულად გამოყენებას გულისხმობს და სრულიად ემყარება ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკას, ფასეულობებსა და პრინციპებს. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირისპირ სიტუაციებში, ასევე, ვირტუალურ გარემოში ან ორივეში ერთად. ციფრული მედია და ტექნოლოგიები კი არის ინსტრუმენტი, თვით საქმიანობა ან შინაარსი ახალგაზრდულ საქმიანობაში. |
| | 4 | Outreach Youth Work | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ფორმაა, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებას. აღნიშნული აქტივობები ხორციელდება იქ სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან და მიზნად ისახავს მათ მოზიდვასა და ჩართვას ახალგაზრდულ საქმიანობასა და სერვისებში. |

| კატეგორია | # | ინგლისური ტერმინი | ქართული შესატყვისი | განმარტება |
|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდული საქმიანობის ფორმები | 5 | Detached Youth Work | საველე ახალგაზრდული საქმიანობა | საველე ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ფორმაა და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ფიზიკური, სოციალური, პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდებთან საქმიანობა, მათსავე ტერიტორიაზე, არაფორმალური შეკრების ადგილებში (ქუჩები, პარკები, კაფეები, ღია სივრცეები) ხორციელდება და უმეტესწილად მორგებულია მოცემულ მომენტში მათი განვითარების საფეხურზე, მათ ღირებულებებზე, დამოკიდებულებებზე, გამოწვევებსა და ამბიციებზე. გამომდინარე იქიდან, რომ საქმიანობა საველე პირობებში მიმდინარეობს, მისი განხორციელების თავისებურებები ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკს შორის მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს. |
| | 6 | School based Youth Work | სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა | ახალგაზრდული საქმიანობა რომლის ფარგლებშიც ახალაგზრდული მუშაკი საქმიანობას ახორციელებს სკოლებში. სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს სკოლებსა და ახალგაზრდულ სერვისებს შორის კავშირის გაუმჯობესებას და ემსახურება ახალგაზრდების სრული პოტენციალის განვითარებას, მათ კეთილდღეობასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. |
| | 7 | Youth Centre-based Youth Work | ახალაგზრდული ცენტრის ახალაგზრდული საქმიანობა | ახალგაზრდული საქმიანობა რომლის ფარგლებშიც ახალაგზრდული მუშაკი საქმიანობას ახორციელებს ახალგაზრდულ ცენტრში. ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს ცენტრის ბენეფიციარ ახალაგზრდებსა და ახალგაზრდულ სერვისებს შორის კავშირის გაუმჯობესებას და ემსახურება ახალგაზრდების სრული პოტენციალის განვითარებას, მათ კეთილდღეობასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. |
| | 8 | Open Youth Work | ღია ახალგაზრდული საქმიანობა | ახალგაზრდული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ღია ახალაგზრდულ ცენტრში. აღნიშნულ საქმიანობას არ გააჩნია წინასწარ მკაცრად განსაზღვრული კურიკულუმი და იგი ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს აქტიურად შექმნან და ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო, სამოქალაქო და რეკრეაციულ ღონისძიებაში. |

| კატეგორია | # | ინგლისური ტერმინი | ქართული შესატყვისი | განმარტება |
|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდული მუშაკების სახელების კლასიფიკაცია | 9 | Youth Worker | ახალგაზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალაგზრდების მიერ. |
| | 10 | Mobile Youth Worker | მობილური ახალგაზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახორციელებს მობილურ ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალაგზრდების მიერ. |
| | 11 | Digital Youth Worker | ციფრული ახალგაზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახორციელებს ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალაგზრდების მიერ. |
| | 12 | Outreach Youth Worker | მოზიდვაზე ორიენტირებული ახალგაზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდების მოზიდვაზე ორიენტირებულ საქმიანობას, მას მიაქვს ახალგაზრდებამდე ინფორმაცია იმ შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომია, ხოლო მათგან მოაქვს ინფორმაცია, თუ რა თემები არის ახალგაზრდებისთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი, საჭირო. |
| | 13 | Detached Youth Worker | საველე ახალგაზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახორციელებს საველე ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივ ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. იგი ორიენტირებულია ახალგაზრდებთან მუშაობაზე ახალგაზრდების თავშეყრის ადგილზე. |
| | 14 | School based Youth Worker | სასკოლო ახალგაზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებს სკოლაში სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალაგზრდების მიერ. |
| | 15 | Youth Centre-based Youth Worker | ახალგაზრდული ცენტრის ახალაგზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებს ახალაგზრდულ ცენტრში სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალაგზრდების მიერ. |
| | 16 | Open Youth Worker | ღია ახალგაზრდული მუშაკი | პირი, რომელიც ახორციელებს ღია ახალგაზრდულ საქმიანობას სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალაგზრდების მიერ. |

| კატეგორია | # | ინგლისური ტერმინი | ქართული შესატყვისი | განმარტება |
|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდული სივრცეები | 17 | Youth Centre | ახალგაზრდული ცენტრი | სივრცე, სადაც ახალგაზრდებისთვისა და ახალგაზრდებთან მომუშავე ადამიანებისთვის სტრუქტურირებული არაფორმალური განათლებაზე დაფუძნებული სასწავლო ღონისძიებები ხორციელდება. |
| | 18 | Open Youth Centre | ღია ახალაგზრდული ცენტრი | ღია სივრცე ახალგაზრდებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალი დრო გაატარონ მშვიდ, უსაფრთხო, სასიამოვნო და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. ღია ახალგაზრდული ცენტრის კარი ახალგაზრდებისთვის ყოველთვის ღიაა, არ კეთდება დამსწრე ახალგაზრდების სიები (ჯგუფების დაკომპლექტებისა და ჯგუფის ზომების ლიმიტების დაწესების თავიდან აცილების მიზნით), რადგან ახალგაზრდას ცენტრში მისვლის შესაძლებლობა აქვს მაშინ როდესაც უნდა და როდესაც სჭირდება. |
| | 19 | Youth Space | ახალაგზრდული სივრცე | ადგილი, სადაც ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევათ. ეს არის მათდამი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ისინი იკრიბებიან, ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მონაწილეობას იღებენ კულტურულ-შემოქმედებით, საგანმანათლებლო, სპორტულ, გარემოსდაცვით და სხვა ხასიათის ღონისძიებებში, შესაძლებლობა აქვთ განივითარონ ძირითადი კომპეტენციები, გაცვალონ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილებები და ცოდნა. |
| | 20 | Youth Hub | ახალგაზრდული ჰაბი | ახალგაზრდული ჰაბი არის სივრცე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, სივრცე სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ერთი მხრივ, აქვთ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი ადმინისტრაციულ შინაარსობრივი საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა ახალგაზრდებისთვის. |
| | 21 | Youth Room | ახალგაზრდული ოთახი | არასტრუქტურირებული და არაორგანზიებული სივრცე ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდული ოთახი შეიძლება იყოს მარტივად ერთი პატარა სივრცე მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც ახალგაზრდებს აქვთ სრული ავტონომია, დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც მათ უნდათ, აინტერესებთ და სიამოვნებთ – აღნიშული საქმიანობა აუცილებელია მიმდინარეობდეს ახალგაზრდული მუშაკის დაკვირვებითა და მხარდაჭერით. |

| კატეგორია | # | ინგლისური ტერმინი | ქართული შესატყვისი | განმარტება |
|---|---|---|---|---|
| სხვადასხვა ტერმინი | 22 | Non-formal Education | არაფორმალური განათლება | ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი, ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას. |
| | 23 | Informal Education | ინფორმალური განათლება | ნიშნავს მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდუალური პიროვნება იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას, საგანმანათლებლო რესურსებისა და ამ რესურსების გავლენის საშუალებით, საკუთარ გარემოში თუ ყოველდღიური გამოცდილებიდან (ოჯახში, თანატოლების გარემოცვაში, მეზობლების წრეში, ნაცნობებთან ურთიერთობისას, ბიბლიოთეკაში, მასმედიის საშუალებით, სამუშაო ადგილზე, გართობისა და სპორტული შეჯიბრებების თავშეყრის ადგილზე და ა.შ.). |
| | 24 | NEET Youth - Young people who are not in Employement, Education or Training | NEET ახალგაზრდები | NEET ახალგაზრდები – დასაქმების, განათლებისა და ტრენინგის მიღმა მყოფ ახალგაზრდათა ჯგუფი. ახალგაზრდების NEET ჯგუფი არის სოციალური გარიყვის მაღალი რისკის ქვეშ. |
| | 25 | Competence | კომპეტენცია | კომპეტენცია წარმოადგენს თვისებების, შესაძლებლობებისა და შეხედულებების დინამიურ კომბინაციას. ეს  რის რაღაცის წარმატებით ან ეფექტიანად გაკეთების შესაძლებლობა. ხშირად მას აკავშირებენ უნარებთან, თუმცა კომპეტენცია ორი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტით განსხვავდება უნარისგან და ქმნის უფრო მეტ კომპეტენციას. ის უფრო მეტია ვიდრე უნარი ან ცოდნა. კომპეტენცია გულისხმობს კომპლექსურ მოთხოვნებთან გამკლავების შესაძლებლობას, როგორც ფსიქოლოგიური და ემოციური, ასევე სოციალური რესურსების მობილიზებითა და გამოყენებით. ახალგაზრდულ საქმიანობაში ტერმინი "კომპეტენციები" აღნიშნავს ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის სისტემას. კომპეტენციები დინამიურია და მისი ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. |

| კატეგორია | # | ინგლისური ტერმინი | ქართული შესატყვისი | განმარტება |
|---|---|---|---|---|
| სხვადასხვა ტერმინი | 26 | cognitive | კოგნიტური | კოგნიტური პროცესები წარმოადგენს უმაღლეს ფსიქიკურ პროცესებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ობიექტური სინამდვილის ფსიქიკაში ასახვა, კერძოდ, ინ-ფორმაციის მიღება, გადამუშავება, ცოდნად გარდაქმნა და გამოყენება. ეს პროცესებია: შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, ენა და მეტყველება, აზროვნება და  პრო-ბლემის გადაწყვეტა. ხშირად მათ შემეცნე-ბით პროცესებსაც უწოდებენ. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ხშირად განასხვავებენ კოგნიტური პროცესების 2 დონეს: სენსორუ-ლ-პერცეპტული და საკუთრივ კოგნიტური. სენსორულ-პერცეპტულ დონეში ერთიანდე-ბა შეგრძნება, აღქმა და ყურადღება, ხოლო კოგნიტურში - მეხსიერება,  მეტყველება და აზროვნება. თუმცა კოგნიტური პროცესე-ბის ამგვარი დაყოფა ძალიან ხელოვნურად მიიჩნევა, რადგან რეალურად ამ პროცესების ურთიერთმოქმედება ძალიან რთულ და მრა-ვალფეროვან სქემას ექვემდებარება. |
| | 27 | Gender | გენდერი | გულისხმობს სოციალურად განსაზღვრულ როლებს, ნორმებს, ქცევებს, ფუნქციებს, აღქმებს, პიროვნულ ნიშან-თვისებებს, დამოკიდებულებებსა და იმ მოლოდინებს, რომლებიც ჩვენ, კაცებისა და ქალების, გოგოებისა და ბიჭების მიმართ გაგვაჩნია მოცემულ კულტურასა და საზოგადოებაში. გენდერი შეძენილი იდენტობაა, რომელსაც ადამიანები სწავლობენ. იგი დროთა განმა-ვლობაში იცვლება და სხვადასხვა კულტუ-რის წარმომადგენლებში განსხვავებულია. |
| | 28 | Sex | სქესი | ბიოლოგიური მახასიათებელი, რომლებიც ადამიანებს მდედრობით და მამრობით სქესად ჰყოფს. |
| | 29 | Gender Equality | გენდერული თანასწორობა | გულისხმობს სქესის ნიშნით დისკრიმინაცი-ის აღმოფხვრას. წარმოადგენს კონცეფცი-ას, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს, როგორც ქალს, ისე კაცს, შეუძლია, საკუთა-რი შესაძლებლობები თავისი შეხედულებით განავითაროს და გააკეთოს არჩევანი ისე, რომ არ შეიზღუდოს არსებული სტერეოტი-პებით, მკაცრად განსაზღვრული გენდერული როლებით და ა.შ. გენდერული თანასწო-რობა გულისხმობს ქალისა და კაცის გან-სხვავებული ქცევების, მისწრაფებებისა და საჭიროებების თანასწორად აღიარებასა და შეფასებას, მათთვის თანაბარი უპირატესო-ბის მინიჭებას. |

| კატეგორია | # | ინგლისური ტერმინი | ქართული შესატყვისი | განმარტება |
|---|---|---|---|---|
| სხვადასხვა ტერმინი | 30 | Gender Socialisation | გენდერის სოციალიზაცია | პროცესი, როდესაც ვვითარდებით და ვსწავლობთ იმ კულტურულ გენდერულ როლებსა და ნორმებს, რომლებიც მოგვენიჭა ქალად ან კაცად დაბადებისას, ძირითად აქტორებთან (ოჯახი, სოციალური წრეები და საზოგადოება) ურთიერთობისას. |
| | 31 | Gender Mainstreaming | გენდერული მეინსტრიმინგი | სტრატეგია, რომლის მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევაა. ის უზრუნველყოფს, რომ ქალები და კაცები, გოგოები და ბიჭები იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილეები. აგრეთვე, ის აფასებს, რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების, ქალებისა თუ კაცების საჭიროებები პოლიტიკასა თუ პროგრამებში. |
| | 32 | Gender Analysis | გენდერული ანალიზი | ინსტრუმენტი, საშუალება, რომელიც გვეხმარება გოგოების, ბიჭების, ქალებისა და კაცების როლების, პასუხიმსგებლობების, საჭიროებების, შესაძლებლობების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებაში, სიტუაციის ანალიზსა და ინტერპრეტირებაში. |